ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 21 – 22 ნოემბერი, 2015

№274 (6894)

ფასი: 50 თეთრი

ევროპა ელ კლასიკოს მოლოდინში

21.11	რეალი-ბარსელონა	2.45	3.75	2.6
21.11	სიტი-ლივერპული	1.61	4.0	5.5
21.11	ნიუკასლი-ლესტერი	2.8	3.5	2.4
21.11	უოტფორდი-მანჩესტერი	4.33	3.25	1.91
21.11	დეპორტივო-სელტა	2.9	3.4	2.37
21.11	შალკე-ბაიერნი	11.0	6.0	1.25
21.11	აინტრახტი-ლევერკუზენი	3.6	3.75	1.95
21.11	იუვენტუსი-მილანი	1.61	3.6	6.0
21.11	ბოლონია-რომა	4.75	3.6	1.75
21.11	მონპელიე-რეიმსი	2.05	3.1	4.0
22.11	სტ.ეტიენი-მარსელი	2.5	3.3	2.8
22.11	რენი-ბორდო	2.37	3.0	3.25

„ნარმანიას თავზე იმპიჩმენტის შავი ღრუბლები გროვდება“

საკრებულომ ნარმანიას ბიუჯეტი უკან დაუბრუნა

გვ.2

„მეტი საქმე არ გვაქვს, თქვენს ნაბოდვარზე მერი გადავაყენოთ“

ირმა ინაშვილი: „ხიდაშელს რქებს მოვამტვრევ“

გვ.5

უჩა ნანუაშვილმა მოშიმშილეების მონახულება გაბედა

სოსო შატბერაშვილი: „ვამზადებთ სარჩელს ნაციონალური მოძრაობის ასაკრძალავად“

გვ.4

„პარლამენტში უნდა იყვნენ პოლიტიკოსები და არა – მსახიობები და სპორტსმენები“

ნაციონალები პენსიის გაზრდის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ

გვ.5

თამაზ მეჭიაური: „შესაძლებლობა თუ იქნა, პენსიები გაიზრდება“

მალიში ტერორისტებმა 170 მძევალი აიყვანეს

მოკლულია 20-მდე ადამიანი

20 ნოემბერს მალის დედაქალაქ ბამაკოში ტერორისტული შეტევა განხორციელდა.

ტერორისტებმა სასტუმრო რედისონ ბლუში 170 მძევალი აიყვანეს. მათ შორის იყვნენ სასტუმროს 140 მცხოვრები და სასტუმროს პერსონალის 40 წევრი.

მალე ტერორისტებმა 2 მძევალი გაათავისუფლეს. მათი გათავისუფლება მას შემდეგ მოხდა, რაც გაირკვა, რომ ისინი მუსლიმები იყვნენ და ყურანის წაკითხვა შეძლეს.

მძევლები სასტუმროს მე-7 სართულზე ჰყავდათ აყვანილი. მათ შორის იყვნენ ჩინეთის რამდენიმე მოქალაქე და ავიაკომპანია თურქიშ ეირვეიზის 6 თანამშრომელი.

პოლიციამ სასტუმროს მიმდებარე ტერიტორია გადაკეტა, ხოლო საღამოსკენ სასტუმროს შტურმი განხორციელდა. მასში მალის, საფრანგეთის და აშშ-ს სპეციალური დანიშნულების რაზმები მონაწილეობდნენ.

შტურმის შედეგად მოკლეს 2 ტერორისტი, ხოლო სასტუმროში 20-მდე ადამიანის ცხედარი აღმოაჩინეს.

თავდასხმაზე პასუხისმგებლობა დაჯგუფება ალ-მურაბითუნმა აიღო, რომელიც, თავის მხრივ, დაჯგუფება ალ-ქაიდასთან არის კავშირში.

აღნიშნულის თაობაზე დაჯგუფების მებრძოლებმა ინფორმაცია ტვიტერის საკუთარ გვერდზე განათავსეს.

ირაკლი ბათიაშვილი: „საქართველო ისლამური სახელმწიფოს და ალ-ქაიდას სტრატეგიულ ინტერესებშია“

გვ.3

„მსოფლიოში მეოთხე თაობის ასიმეტრიული ომი მიმდინარეობს“

ISSN 1987-9385

გუგული მაღრაძე: „ირაკლი შოთაძეს პარლამენტის მხრიდან შეფერხება არ ექნება“

ნათია ხურცილავა

საპროკურორო საბჭომ მოქმედი მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე ირაკლი შოთაძე მთავარი პროკურორის პოზიციაზე 13 ხმით აირჩია.

შოთაძის კანდიდატურა პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გუგული მაღრაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ირაკლი შოთაძეს პარლამენტის მხრიდან წინააღმდეგობა არ შეხვდება და ის 6 წლის ვადით ქვეყნის მთავარი პროკურორი გახდება.

„ქვეყნის მთავარი პროკურორის არჩევა სიზმარშიც არ დაესიზმრებოდა არავის“

გუგული მაღრაძე:

– ორჯერ თუ სამჯერ მქონდა ურთიერთობა ირაკლი შოთაძესთან, როდესაც ევროსაბჭოსთან დაკავშირებული დოკუმენტები გვჭირდებოდა. ძალიან ოპერატიულად გამოგვიგზავნეს. ასევე პარლამენტში რამდენჯერმე მოვუსმინე და ჩანს, რომ ამ ახალგაზრდა ადამიანმა თავისი საქმე იცის. ამდენად, მე არანაირი უარყოფითი დამოკიდებულება არ მაქვს ამ კანდიდატის მიმართ.

– იუსტიციის მინისტრმა შოთაძის მინუსად მისი ასაკი დაასახელა. ეს თქვენთვის პლუსია?

– ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოსამართლის ასაკია და არა – პროკურორის. მოსამართლემ გადაწყვეტილება, პროფესიულ უნარებთან ერთად, ცხოვრებისეული გამოცდილებიდანაც უნდა მიიღოს. პროკურორისთვის უფრო მნიშვნელოვანი მაინც პროფესიონალიზმი მგონია, მისი გამჭრიახობა და მიზანდასახულობა. მთავარ პროკურორს ასაკი მთლად მინუსად არ უნდა ჩაეთვალოს.

– „ქართული ოცნების“ ერთერთი მთავარი დაპირება სამართლიანობის აღდგენა იყო. ამ მიმართულებით ბევრი კითხვის ნიშანია, მიუხედავად იმისა, რომ ახალი დეპარტამენტი შეიქმნა. რამე ცვლილებას მოახდენს შოთაძე, თუ ის მთავარი პროკურორი გახდა?

– მთლად ჩვენზე არ არის დამოკიდებული, გავაგრძელებთ თუ არა ამ ხაზს და რა ინიციატივებს გამოიჩენს ირაკლი შოთაძე. რა ფორმით მოხდება ეს და როგორ, ეს შეიძლება კონკრეტულ მომენტში, კონკრეტულ პერიოდში იყოს გადაწყვეტილი. ჩვენ ვერავის წავართმევთ სამართლიანობის მოთხოვნის უფლება.

– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ეს ფაქტორი რამდენად იქონიებს გავლენას?

– ეს ამომრჩეველს უნდა ვკითხოთ, იქონიებს თუ არა გავლენას. ალბათ იქნება ამომრჩევლის გარკვეული რაოდენობა, რომელიც დაგვაყვედრის, რომ სამართლიანობის აღდგენა ისე ვერ მოხდა, როგორც ესა თუ ის კონკრეტული პიროვნება ელოდა, მაგრამ ჩვენ მთავარი სამართლიანობა აღვადგინეთ.

– და რა არის ეს სამართლიანობა?

– ადამიანი ჩვენს ქვეყანაში უსამართლოდ არ დაიჩაგრება. არავითარ შემთხვევაში არ იქნება ადამიანის უფლებები შელახული სახელმწიფოს მიერ, ადამიანი სახელმწიფოს მიერ არ იქნება დაჩაგრული. ეს გააკეთა ჩვენმა ხელისუფლებამ.

არ მახსოვს შემთხვევა, რომ არ დასჯილიყოს ის პირი, რომელმაც ეს გაბედა და გააკეთა.

– რას ამბობენ უმრავლესობაში, მოსწონთ ირაკლი შოთაძე?

– არა მგონია, ვინმეს ჰქონდეს უმრავლესობაში გამოკვეთილი უარყოფითი დამოკიდებულება შოთაძის კანდიდატის მიმართ. როგორც ყოველთვის, ოპოზიცია ალბათ მხარს არც ამჯერად დაუჭერს. ირაკლი შოთაძეს პარლამენტის მხრიდან არა მგონია, რამე შეფერხება ჰქონდეს.

– დასახელებულ კანდიდატებს შორის ყველაზე კარგი ის იყო?

– ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ უკვე იცი ამ ადამიანის მუშაობის სტილი, მისი დამოკიდებულება, საზოგადოება ასე თუ ისე იცნობს ამ კანდიდატს. თან რამე უარყოფითი დამოკიდებულება არ არის მისი საქმიანობის მიმართ. ამდენად, უფრო ბუნებრივი მგონია, რომ საპროკურორო საბჭომ სწორედ მას დაუჭირა მხარი.

დანარჩენ ორ კანდიდატს საზოგადოება ნაკლებად იცნობდა. არ გამოვრიცხავ, რომ ისინი შესანიშნავი ადვოკატები არიან, მაღალი კვალიფიკაციის, მაგრამ ამ სისტემაში მუშაობის გამოცდილება აქვს შოთაძეს, თან მაღალ პოსტზე. სულ არ არის გასაკვირი, რომ საბჭოს წევრების მეტი ხმა სწორედ შოთაძემ მიიღო.

საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში და მანამდეც ქვეყნის მთავარი პროკურორი არჩევითი არ ყოფილა. მთავარი პროკურორის არჩევა სიზმარშიც არ დაესიზმრებოდა არავის. ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი, ამას ვერავინ უარყოფს.

– არასამთავრობო სექტორი ამბობს, რომ პროცესი ბოლომდე არ იყო გამჭვირვალე.

– შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ წინასწარ გადაწყვეტილი იყო და ა.შ., მაგრამ ხომ არჩევნების გზით მოხდა კანდიდატის დასახელება? ხომ იმსჯელეს, ხომ გაერკვნენ, ვინ არის, რას აკეთებს და რას აპირებს? სადღაც ვიღაცამ ხომ არ გადაწყვიტა ერთპიროვნულად? ეს არის მნიშვნელოვანი.

რაც უფრო წინ წავალთ, მით უფრო მეტი მოთხოვნილება იქნება არჩევითობის და არჩეული კანდიდატების მიმართაც, ეს დემოკრატიის კანონია, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ.

– გაამართლებს შოთაძე?

– ვნახოთ.

– თავის დროზე, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა მთავარ პროკურორად არჩილ კბილაშვილი დაასახელა, მოლოდინები იყო ძალიან დიდი, მაგრამ ისინი არ გამართლდა.

– კბილაშვილი არის მაღალი კვალიფიკაციის ადვოკატი, მაგრამ პროკურატურაში მუშაობა და მთავარი პროკურორობა, როგორც ჩანს, კიდევ სხვა სპეციფიკას მოითხოვს. ამ მხრივ შოთაძეს აქვს უპირატესობა, რადგან ის წლებია, პროკურატურის სისტემაში მუშაობს. ამიტომ არ მიკვირს, რომ საპროკურორო საბჭოს წევრებმა ადვოკატს მოქმედი პროკურორი არჩიეს.

„ნარმანიას თავზე იმპიჩმენტის შავი ღრუბლები გროვდება“

შორენა მარსაგიშვილი

მთელი ერის ყურადღება 20 ნოემბერს დედაქალაქის საკრებულოსკენ იყო მიმართული, სადაც ქალაქის ბიუჯეტის განხილვა უნდა მომხდარიყო.

საკრებულომ ნარმანიას ბიუჯეტი უკან დაუბრუნა

„მეტი საქმე არ გვაქვს, თქვენს ნაბოდვარზე მერი გადავაყენოთ“

დავით ნარმანიას მიერ შემუშავებულ ბიუჯეტის პროექტი, შემქმნელის გარდა, არავის მოსწონებია. უკმაყოფილება უმრავლესობის წევრებმაც კი გამოხატეს.

ოპოზიციის შენიშვნაზე ნარმანია მაგრად გაცეცხლდა და მათ სულ უცოდინარები ეძახა, მეოცნებეებს კი ვერაფერი შეჰკადრა. სამაგიეროდ, მათ მისცეს შენიშვნა გაწიწმატებულ მერს.

ამ უხეშობის გამო მერმა საკრებულოს თავმჯდომარისგანაც მიიღო შენიშვნა. უფრო მკაცრი იყო თავის შეფასებაში საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე თედო კობახიძე.

მან ნარმანიას მიმართ ტერმინი იმპიჩმენტიც კი ახსენა, რასაც დიდი გნიასი მოჰყვა – ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც უმრავლესობის წევრები მერის იმპიჩმენტზე ღიად ალაპარაკდნენ.

მედიაში მის შესაძლო გაიმპიჩმენტებაზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ. მეოცნებეები ამას ცოცხალი თავით არ ადასტურებდნენ. ბოლომდე არც ახლა აღიარეს, რომ მერის იმპიჩმენტზე მიდის საუბარი.

თედო კობახიძის განცხადებასთან დაკავშირებით განმარტებები ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემაც კი გააკეთა. მისი მტკიცებით, ნარმანიას იმპიჩმენტის საკითხი არც კი განიხილება.

არადა, ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ნარმანიას გაშვების შემდეგ (შესაძლოა, ის „საკუთარი სურვილითაც“ წავიდეს), მეოცნებეთა მერობის კანდიდატი სწორედ ის გახდება.

საიმპიჩმენტო განცხადებაზე განმარტებები ქალაქის თავმაც გააკეთა. დავით ნარმანია თავდაჯერებით ამბობს, რომ მისი იმპიჩმენტი არ იქნება, თედო კობახიძის განცხადებას მის შესაძლო იმპიჩმენტთან დაკავშირებით კი, მხოლოდ პროცედურულ განმარტებას უწოდებს და აცხადებს, რომ აღნიშნული საკითხი რეალობას მოკლებულია.

– რაც შეეხება ბიუჯეტის შესაძლო დაუმტკიცებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს და ცალკეულ წიაღსვლებს იმპიჩმენტთან დაკავშირებით, ისინი რეალობას მოკლებულია. ჩემი აზრით, თედო კობახიძის განცხადება იყო მხოლოდ პროცედურის განმარტება იურიდიული კომისიის მხრიდან, – ამბობს ნარმანია.

ნარმანიას ისიც ეგონა, რომ ბიუჯეტის პროექტსაც მოუწონებდნენ, მაგრამ შეცდა. თანამებრძოლებმა მას პროექტი სხდომის დაწყებამდე დაუწუნეს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილის განცხადებით, ბიუჯეტთან დაკავშირებით შენიშვნები არსებობს, თუმცა ის იმედს გამოთქვამს, რომ 2016 წლის ბიუჯეტში შენიშვნები გათვალისწინებული იქნება.

– მე ვფიქრობ, რომ მეორე მოსმენით ბიუჯეტი მოსმენილი და დამტკიცებული იქნება. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, იმპიჩმენტი, რომელიც ძალიან ფიგურირებს ჩვენს მედიაში, მე ვფიქრობ, რომ არანაირ ლოგიკასთან არ არის დაკავშირებული, – განაცხადა ალიბეგაშვილმა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ირაკლი ბათიაშვილი: „საქართველო ისლამური სახელმწიფოს და ალ-ქაიდას სტრატეგიულ ინტერესებშია“

ნონა ცაბაძე

უშიშროების ყოფილი შეფი, ირაკლი ბათიაშვილი მიიჩნევს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ტერორიზმმა უკვე საბოლოოდ მიიღო მეოთხე თაობის ასიმეტრიული ომის ხასიათი.

„მსოფლიოში მეოთხე თაობის ასიმეტრიული ომი მიმდინარეობს“

– უკვე ასე სერიოზულად არის საქმე?

– ამას მხოლოდ მე კი არ ვამბობ, ამას ამბობენ სერიოზული სპეციალისტები. ეს არის მეოთხე თაობის ომი. ეს ომი უკვე მიმდინარეობს, მას აქვს თავისი სპეციფიკა, რომლითაც ის არსებითად განსხვავდება ყველა სხვა ტიპის ომებისაგან, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ქსელურ და ვირუსულ ხასიათზე.

ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა ცალკეულ, თუნდაც გახშირებულ ტერორისტულ აქტებთან, არამედ ეს არის ტერორისტული ომი. ასიმეტრიული მეოთხე თაობის ომი.

– რა შეიძლება ამას დაუპირისპიროს ცივილიზებულმა მსოფლიომ?

– ვინაიდან ეს ტერორიზმი იღებს მასშტაბურ ხასიათს, იღებს ომის ხასიათს, მასთან ბრძოლის სტრატეგია ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

– ანუ ჯერ კიდევ არ არსებობს სტრატეგია, როგორ ებრძოლონ ამ სენს?

– ვერ ვიტყოდი, რომ არსებობს რაიმე ეფექტური სტრატეგია, რომ ის უკვე ჩამოყალიბდა. სწორედ ამიტომ ვერ ვხედავთ ეფექტს და წარმატებებს ტერორიზმთან ბრძოლაში. ეს საჭიროებს გადახალისებას და ხელახალ ჩამოყალიბებას.

– ჩვენს ქვეყანაზე რას იტყვით?

– ჩვენ ამ მხრივ რთულ მდგომარეობაში ვართ.

– რატომ?

– სუპერ სახელმწიფოები დგანან ამ პრობლემის წინაშე თავისი უძლიერესი სპეცსამსახურებით. ფრანგებს სერიოზული უშიშროების სამსახური და კონტრდაზვერვის სამსახური ჰყავთ. აღარ ვლაპარაკობ ბრიტანელების ისტორიულად ცნობილ დაზვერვის სამსახურებზე. ასევე რუსეთის და ამერიკის უძლიერეს სამსახურებზე. მიუხედავად ამისა, ვხედავთ, რამხელა პრობლემების წინაშე დგანან ისინი და პერიოდულად ვერ უმკლავდებიან მომეტებულ საფრთხეს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ურთულეს მდგომარეობაში ვართ და დიდი გამოწვევის წინაშე ვიმყოფებით.

– რატომ, ხომ გვყავს უშიშროების სამსახურები?

– ჩვენი სპეცსამსახურები ნამდვილად ვერ დაიტრაბახებენ იმ დონეზე ყოფნით, რა დონეზეც ჩემ მიერ ჩამოთვლილი ქვეყნებია. ამ მხრივ, ჩვენ ყველაფერი წინა გვაქვს. უსაფრთხოების სამსახურმა ახლა დაიწყო ჩამოყალიბება. რეალურად არც ვიცით, როგორ ყალიბდება იგი.

– წინა ხელისუფლების დროს არ იყო ეს სამსახური?

– წლების განმავლობაში დაზვერვა არც არსებობდა. იყო მხოლოდ ერთი შინაგან საქმეთა სამინისტრო, ვანო მერაბიშვილის მიერ შექმნილი, რომელიც სადამსჯელო ორგანოს წარმოადგენდა. ახლა იწყება ფორმირება და რა გამოვა, ამას დრო გვაჩვენებს.

– რამდენად ადეკვატურად აღიქვამს ჩვენი ხელისუფლება არსებულ საფრთხეებს და რეალობას?

– საკმაოდ ადეკვატურად აღიქვამენ ამ დიდ საფრთხეებს. ისლამურ სახელმწიფოს ახსენებენ ხშირად, არადა, არსებობს სხვა უამრავი ტერორისტული ორგანიზაცია. არსებობს ალ-ქაიდა, თავისი დანაყოფებით. დღეს უკვე მოლაპარაკებებიც მიმდინარეობს იგივე ალ-ქაიდასა და ისლამურ სახელმწიფოს შორის საზღვრის გაერთიანების თაობაზე.

– ანუ საფრთხე სერიოზულია?

– რასაკვირველია. მარტო ისლამური სახელმწიფო კი არა, ზოგადად ეს ტერორისტული ორგანიზაციები უდიდეს საფრთხეს წარმოადგენენ. საიდან წამოვა პირველი საფრთხე, ეს ძალიან ძნელი გასათვლელია. დღეს საერთაშორისო ტერორიზმის ფლაგმანად ისლამური სახელმწიფო გვევლინება, თუმცა ხვალ რა იქნება და ვინ განახორციელებს მორიგ დარტყმას, ამის პროგნოზირება ძნელია.

– დაუშვა ევროპამ შეცდომა, როდესაც ამდენი მიგრანტი გამარტივებული წესით მიიღო სირიიდან? საუბარია, რომ მათ უამრავი ტერორისტი შეჰყვა.

– დევნილები რომ მიიღეს, ამან საფრთხე გაზარდა. ამ დევნილებს შორის უამრავი ტერორისტი და მათთან დაკავშირებული პირი იქნებოდა. მიგრანტებს რომ თავი დავანებოთ, საფრანგეთშიც და ინგლისშიც ყოველთვის იყვნენ და არიან ადგილობრივი მცხოვრებლები, ისლამის მიმდევრები, რომლებიც ისედაც დაკავშირებული იყვნენ სხვადასხვა ტერორისტულ ორგანიზაციასთან.

ანუ მიგრაციის ამ გრანდიოზულმა ტალღამ გაზარდა ეს საფრთხე, მაგრამ საფრთხე ისედაც არსებობდა. ამ ქვეყნებში მუსლიმანური, არაბული მოსახლეობა ყოველთვის იყო უზარმაზარი რაოდენობის. იგივე მდგომარეობაა გერმანიაში, ინგლისსა და რუსეთში. ასევე ამერიკაში.

– რუსეთს ხომ არ მიუღია დევნილები?

– კი, რუსეთს არ მიაწყდნენ მიგრანტები, მაგრამ, ბოლო მონაცემებით, რუსეთიდან წასულია და 3.000 კაცამდე იბრძვის ისლამურ სახელმწიფოში. რუსეთის სპეცსამსახურები ყველაფერს აკეთებენ, რომ გააკონტროლონ მათი უკან შემოსვლა, მაგრამ ეს საფრთხეზე, რომლის ეპიცენტრიც ჩვენგან ძალიან ახლოა, ეს საფრთხეებს ზრდის. ეს საფრთხეები უნდა გავაანალიზოთ იმ კუთხითაც, თუ ჩვენ რა სპეციფიკით გვემუქრება ეს ყველაფერი.

– და რა სპეციფიკა აქვს ამ საფრთხეებს საქართველოს მიმართ?

– ეს უნდა გაანალიზდეს შესაბამისი სამსახურების მიერ. უნდა გაანალიზდეს, ჩვენი სამსახურები რამდენად მომზადებულები არიან, რომ გაუმკლავდნენ ასეთ საფრთხეებს. შეიძლება დღეს ჩვენ ასე პირდაპირ სამიზნე არ ვიყოთ ტერორისტების, როგორც ქვეყანა...

– აბა, საფრთხე რაში მდგომარეობს?

– მოგახსენებთ. შესაძლებელია, ჩვენ მიმართ სულ სხვა ინტერესები იყოს, როგორც კავკასიის რეგიონის უმნიშვნელოვანესი ქვეყნის მიმართ, რომელიც წარმოადგენს თავისებურ დერეფანს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, სამხრეთიდან – ჩრდილოეთისკენ. ამ მხრივ ჩვენ სტრატეგიულ ინტერესებში შევდივართ.

პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ ისლამური სახელმწიფოს და ალ-ქაიდას სტრატეგიულ ინტერესებში, სამწუხაროდ, ჩვენ ვზიხართ. როგორც ცენტრალური აზიაა მათ პრიორიტეტულ ინტერესებში, ასევე ვართ ჩვენ!

– როგორც სამიზნე?

– არა როგორც სამიზნე, არამედ, როგორც დერეფანი. დერეფნიდან სამიზნემდე ხშირად ერთი ნაბიჯია ხოლმე! ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინონ შესაბამისმა სამსახურებმა და დაიწყონ იმაზე მუშაობა, რასაც ჰქვია კონტრტერორისტული პოლიტიკა.

– საუბარია, რომ მებრძოლები საკმაოდ ხშირად იყენებენ ჩვენს ტერიტორიას გადასაადგილებლად.

– ეს არის ფაქტი და ეს საკმაოდ სახიფათო პროცესია. აქამდე შიგადაშიგ იყენებდნენ ჩვენს ტერიტორიას. თუ დროულად არ მოხდა ამის პრევენცია, შესაძლოა, ამ ყველაფერმა პერმანენტული და მასშტაბური ხასიათი მიიღოს.

ტარიელ ფუტკარაძე: „ქართველ საზოგადოებაში რელიგიური რადიკალიზმი არ არსებობს“

გულიკო ბალაძე

რა წარმოშობს დღევანდელ საზოგადოებებში რადიკალიზმს? არსებობს თუ არა ჩვენს საზოგადოებაში რადიკალიზმი?

„მუსლიმანური რადიკალიზმისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის გაუნათლებლობა“

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე ამბობს, რომ საქართველოს საზოგადოებაში რელიგიური რადიკალიზმი არ არის. თუმცა, ზოგადად, რადიკალიზმი არის ყველა საზოგადოების რაღაც მცირე ნაწილში და ამას საფუძვლად უდევს გაუნათლებლობა.

ამასთან, არ შეიძლება საფრანგეთში მომხდარი რელიგიურ რაკურსში გადავიყვანოთ, რადგან დღეს მსოფლიოში რელიგიათა შორის ომი არ მიმდინარეობს.

– ჩვენ ვიხილეთ მუსლიმანური ფანატიზმის შედეგები საფრანგეთში. შეიძლება ჩვენთანაც შეიქმნას რაიმე პრობლემა, რადგან მუსლიმანები ცხოვრობენ, მაგალითად, აჭარაში და სხვაგან?

– პარიზში მომხდარის რელიგიურ შუღლში გადაყვანა, ფაქტობრივად, რელიგიებს შორის ომს ნიშნავს. რეალურად კი რელიგიური ომი ნამდვილად არ არის. ბევრი მუსლიმანია რადიკალიზმის წინააღმდეგი.

გარდა ამისა, მუსლიმანური სახელმწიფოების ლიდერები ემუქრებიან სხვა მუსლიმანებს, განსაკუთრებით, შიიტებს, განსაკუთრებით იმ მუსლიმანებს, რომლებიც არ არიან მათი მიმდინარეობის. მსოფლიოში დაახლოებით მილიარდნახევარი მუსლიმანი ცხოვრობს. მათგან 1% შეიძლება იყოს რადიკალიზმის მომხრე.

– რა იწვევს მუსლიმანური რადიკალიზმის წარმოშობას?

– მუსლიმანური რადიკალიზმისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის გაუნათლებლობა. ზოგადად, მუსლიმანებში ძალიან ბევრია განათლებული ადამიანი. ისინი რადიკალიზმის გზას არ ირჩევენ. ირჩევენ ფილოსოფიური თუ სხვა მეცნიერებების შესწავლის გზას. ასე რომ, მომაკვდინებელი შეცდომა იქნება ამ პრობლემის რელიგიურ ომად მონათვლა.

– როგორ საზოგადოებას ახასიათებს რადიკალიზმი?

– რადიკალიზმი ახასიათებს ყველა საზოგადოების რაღაც ნაწილს. რადიკალიზმის გამოხატულებაა, როცა ვინმე, რომელიმე სახელმწიფო, სხვა ქვეყნის ტერიტორიას აქცევს თავისი იმპერიული ამბიციებისა და ინტერესების ველში. ვფიქრობ, ის განაცხადი, რაც გააკეთეს რადიკალმა მუსლიმანებმა, ტიპიური იმპერიული ამბიციებისა და ინტერესების გამოხატულებაა.

– ზოგიერთი ანალიტიკოსი სირიაში აღმოცენებულ ისლამურ რადიკალიზმს ისლამოფაშიზმსაც უწოდებს.

– აბსოლუტურად ვეთანხმები. ეს არის ისლამისტური ფაშიზმი და როგორც დაგმო მთელმა ევროპამ გერმანული ფაშიზმი, როგორც დავგმეთ კომუნისტური ფაშიზმი, ვერ ვეგუებით პუტინის აგრესიას კავკასიაში – აფხაზეთსა და ცხინვალში და ვგმობთ ამ ტერიტორიების დაპყრობას რუსეთის იმპერიის მიერ, ასევე დასაგმობია ისლამოფაშიზმიც.

– რაიმე გავლენის მოხდენა შეუძლიათ სირიის რადიკალ ისლამისტებს, ისლამურ სახელმწიფოს საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანებზე?

– მე დავიბადე აჭარაში, სადაც გვერდიგვერდ ცხოვრობენ ქრისტია-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

კახა კალაძე: „ყველამ, მინისტრებმა, პრეზიდენტმა ჩვენი საქმე ვაკეთოთ“

– მე არ ვაპირებ რაღაც შოუებში მონაწილეობის მიღებას. ჩემი თხოვნა იქნება, რომ ყველამ, მინისტრებმა, პრეზიდენტმა ჩვენი საქმე ვაკეთოთ და ვფიქრობ, ამით კიდევ უფრო ხელს შევუწყობთ ქვეყნის გაძლიერებას და არა შოუების მოწყობას, რაღაც ქულების წერას და მოსახლეობისთვის თავის შეხსენებას, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ვიცე პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ 20 ნოემბერს განუცხადა.

რაც შეეხება 4 დეკემბრისთვის დანიშნულ უშიშროების საბჭოს სხდომას, კალაძე მიიჩნევს, რომ კრიზისების საბჭოზე დეტალურად იყო განხილული ყველა ის პრობლემა, რომელიც დღეს შეიძლება ქვეყანასთან მიმართებაში არსებობდეს.

კახა კალაძე:

– მე ვფიქრობ, კრიზისების საბჭოზე ალბათ ყველაფერი იყო დეტალურად განხილული, ყველა ის პრობლემა, რომელიც დღეს შეიძლება არსებობდეს ქვეყანასთან მიმართებაში. მე ვფიქრობ, ეს ყველაფერი რაღაც შოუს ემსგავსება.

ვფიქრობ, უკეთესი იქნება, ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ, ჩვენს ქვეყანას და ხალხს მივხედოთ.

მან აღნიშნა, რომ ქვეყანაში ენერგოუსაფრთხოების პრობლემა არ არის.

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა, გიორგი კვერენჩხილაძემ 19 ნოემბერს განაცხადა, რომ პრეზიდენტმა მთავრობას ოთხი მიმართვა გაუგზავნა, თუმცა პასუხი არ მიუღია. ერთ-ერთი მიმართვა ენერგოუსაფრთხოებას უკავშირდებოდა.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბატონი ფიქრია

სოსო შატბერაშვილი: „ვამზადებთ სარჩელს ნაციონალური მოძრაობის ასაკრძალავად“

„პარლამენტში უნდა იყვნენ პოლიტიკოსები და არა — მსახიობები და სპორტსმენები“

მარიამ მჭედლიშვილი

მემარცხენე ალიანსის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი „ახალ თაობასთან" საუბარში აღნიშნავს, რომ საქართველოს დაბეზღება ნაციონალური მოძრაობის სტილია. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ მისი წარმომადგენლები ევროსტრუქტურებისგან მოითხოვენ საკუთარი ქვეყნის სანინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებას. მათ შორის, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე უარს.

სოსო შატბერაშვილი:

– ნაციონალები იმასაც ცდილობენ, რომ ევროკავშირის სახელმწიფოების ნაწილმა არ მოახდინოს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიკაცია. ზუსტად ასე იქცეოდა მათი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, როცა შევარდნაძის ოპოზიციად ითვლებოდა.

მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ სააკაშვილს ხოხბით მიართვა ძალაუფლება, სააკაშვილმა გამოზარდა თავისი გუნდი. ამ გუნდისათვის საკუთარი ქვეყნის საწინააღმდეგო ქმედებები და დაბეზღებები ნორმაა.

ახლა ნაციონალები კიდევ უფრო მკვეთრ მოქმედებებზე გადავიდნენ იმის გამო, რომ კანონიერი გზით ვეღარ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში. ამიტომ ისინი უცხოეთშიც უფრო მძაფრად იბრძვიან და აქაც არეულობისათვის ემზადებიან.

სოსო შატბერაშვილი ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობა არ არის პარტია.

– ესაა ტერორისტული ორგანიზაცია. მისი წევრები კი სკამების სანაცვლოდ სამშობლოს ღალატობენ. საქართველოს მოსახლეობა დიდი ხანია, ელის ვიზალიბერალიზაციას. ხალხი მძიმე დღეშია იმის გამო, რომ ევროპასთანაც სავიზო რეჟიმი გვაქვს და რუსეთთანაც. გაჩნდა იმის შანსი, რომ შენგენის ზონაში ვიზალიბერალიზაცია მივიღოთ. ნაცმოძრაობა ამასაც ხელს უშლის. ამ ორგანიზაციას წარსულში უამრავი მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი. ამიტომაც მოვითხოვთ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აკრძალვას, – აცხადებს მემარცხენე ალიანსის ლიდერი.

– რა გზით უნდა აიკრძალოს ნაციონალური მოძრაობა?

– სასამართლოს გზით. ჩვენ გამოცდილ იურისტებთან ერთად ვმუშაობთ სარჩელის შედგენაზე. სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოში შევიტანთ. მასში აღწერილი იქნება არა მარტო წამების, ხოცვის ფაქტები, არამედ მასალები უამრავი ადამიანისთვის ქონების წართმევის, ასევე 2004 და 2008 წლების სამხედრო ავანტიურების შესახებ. ეს დოკუმენტური ნაშრომი დაამტკიცებს, რომ ნაცმოძრაობას ჩადენილი აქვს დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ.

–საკონსტიტუციო სასამართლო მიჩნეულია ნაცმოძრაობის მხარდამჭერ ინსტიტუტად.

– არსებობს ასეთი მოსაზრება. ჩვენ ისეთ უტყუარ ფაქტებს და დოკუმენტებს წარვუდგენთ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომ ის იძულებული იქნება, მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება. ამ სარჩელს მემარცხენე ალიანსი ვამზადებთ. არიან სხვა პარტიები და პირები, რომლებიც ასევე ამზადებენ სარჩელებს ნაცმოძრაობის აკრძალვის მოთხოვნით. ერთ-ერთი მათგანია ლაშა ჩხარტიშვილი, რომელიც სამოქალაქო სექტორშია. საბოლოოდ, სასამართლო ამ სარჩელებს გააერთიანებს და ერთად განიხილავს.

სოსო შატბერაშვილის თქმით, თუ 2016 წლის ბიუჯეტში არ იქნა გათვალისწინებული ზოგიერთი სოციალური მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქვეყანაში სოციალური ფონი კიდევ უფრო დამძიმდება.

– ჩვენს პარტიას აქვს კონკრეტული მოთხოვნები. ესაა პენსიის 40 ლარით ზრდა, რასაც 200 მილიონი ლარი სჭირდება და ჯანდაცვის პროგრამისათვის 100 მილიონი ლარის გამოყოფა. 100 მილიონი საჭიროა იმისთვის, რომ ძირითადი მოხმარების წამლები გაიცეს.

თუ პენსიონერი მიიღებს დამატებით 40 ლარს და ამდენივე ლარის მედიკამენტს, ჯამში ეს 240 ლარი გამოვა. სწორედ ასეთ პენსიებს ჰპირდებოდა „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს. ახლა მმართველ კოალიციას მიეცემა შანსი, რომ ეს დაპირება დაგვიანებით მაინც შეასრულოს. ბიუროკრატიული ხარჯების შემცირების შემთხვევაში ეს რეალურია, – ამბობს სოსო შატბერაშვილი.

– რა მოხდება მაშინ, თუ პენსიები არ გაიზარდა და სხვა სოციალური მოთხოვნებიც არ დაკმაყოფილდა?

– ამას მოჰყვება მოსახლეობის უკმაყოფილება. არეულობა არ მინდა, თორემ, ნამდვილად არ მადარდებს, რა პროცენტით შევა მომავალ პარლამენტში „ქართული ოცნება“. პარლამენტში სხვა ძალები მოვხვდებით.

– საარჩევნოდ ახალი ძალები და ცნობილი არაპოლიტიკური სახეები აპირებენ გამოჩენას.

– თქვენ, ალბათ, პაატა ბურჭულაძესაც გულისხმობთ. პოლიტიკაში საქმიანობის უფლება ყველას აქვს. ოღონდ, ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოს პარლამენტში მსახიობებიც გვინახავს, რეჟისორებიც და სპორტსმენებიც. არც ერთმა არ გაამართლა. ჰოლივუდის მსახიობი რეიგანი იყო ერთადერთი, რომელმაც პრეზიდენტად ივარგა. ჩვენთან სხვა სიტუაციაა. ამიტომ, ჯობია, პარლამენტი პოლიტიკოსებს დავუთმოთ, მსახიობები კი თეატრებს დაუბრუნდნენ.

„ნარმანიას თავზე იმპიჩმენტის შავი ღრუბლები გროვდება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სხვა მეოცნებეებიც იმედოვნებენ, რომ ნარმანია შეგონებებს გაითვალისწინებს და განსხვავებულ პროექტს წარმოადგენს, რის შემდეგაც საიმპიჩმენტოდ არ მოუწევთ ხმების გროვება.

მათგან განსხვავებით, საკრებულოს ოპოზიცია გვირაბის ბოლოს იმპიჩმენტს ხედავს. დეპუტატ ალეკო ელისაშვილის მტკიცებით, ნარმანიას თავზე იმპიჩმენტის შავი ღრუბელი ჩამოწვა.

მისი თქმით, თბილისის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს უმცირესობასა და უმრავლესობაში ერთიანი პოზიციაა.

– სასიამოვნო ფაქტი იყო ის, რომ თითქმის არ იყო დისონანსი კრიტიკულად განწყობილ დეპუტატებსა და „ქართული ოცნების“ დეპუტაციას შორის, რადგან, რაზეც მე ან სხვა ვსაუბრობდით, ამას ადასტურებდა „ოცნებაც“. ნარმანიას თავს რომ იმპიჩმენტის შავი ღრუბლები გროვდება, ეს ფაქტია. ეს არის ეფექტური მიზეზი იმისთვის, რომ საკრებულოს უმრავლესობამ გადააყენოს დავით ნარმანია, – აღნიშნა ელისაშვილმა.

იმპიჩმენტის თემამ განსაკუთრებულად ნაციონალები გაახალისა. ისინი აქამდეც ითხოვდნენ მერის გაშვებას, ახლა ნარმანიას გაათმაგებულად შეუტიეს. მათ ქალაქის თავის მოშორება 20 ნოემბრის სხდომაზევე მოითხოვეს.

მართალია, მეოცნებეები თავიანთი მერით უკმაყოფილები არიან, მაგრამ ნაციონალებისგან ის მაინც დაიცვეს და ნარმანიას გულისთვის სულ კიტრები ეძახეს.

ნაციონალი ირაკლი აბესაძის თქმით, დავით ნარმანიას გადაყენებასთან დაკავშირებით პროცედურები რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს.

– მოვითხოვეთ ნარმანიას გადადგომა იმ მძიმე სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო, რომლებიც თბილისშია. ასევე იმ კორუფციის და ნეპოტიზმის გამო, რომლითაც ის იყო დაკავებული, – განაცხადა აბესაძემ.

მის ამ განცხადებას სასწრაფოდ გამოეხმაურა უმრავლესობის დეპუტატი ნუგზარ მალაღურაძე. მან აბესაძეს იურიდიული განათლებაც კი დაუწუნა.

– კიტრივით რომ მოგაქვს თავი და თავი იურისტი რომ გგონია, კანონი წაიკითხე. რაც შეეხება იმპიჩმენტს, რაკი შენ იტყვი... თუ ეს თქვენი ოცნებაა, მაგისთვის პროცედურებია საჭირო. თქვენ გამოხვედით და თქვით, ნარმანია გადადგესო და მეტი საქმე არ გვაქვს, თქვენს ნაბოდვარზე მერი გადავაყენოთ, – მიმართა აბესაძეს მალაღურიძემ.

საკრებულოში ბიუჯეტის პროექტის განხილვა ნარმანიასთვის ცუდი შედეგით დასრულდა. საკრებულოს არც ერთმა წევრმა ამ პროექტს მხარი არ დაუჭირა.

დაწუნებული შედევრი საკრებულოელებმა მერიელებს უკან აახლეს, ქალაქის თავს კი ბიუჯეტის კორექტირებისთვის რამდენიმე კვირა მისცეს.

შესწორებული ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს, სავარაუდოდ, 10 დეკემბრამდე უნდა გადაეგზავნოს, რათა მოხდეს მისი ხელახლა განხილვა.

თუ ნარმანია გაჯიუტდება და არაფერს ჩაასწორებს, მისი იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყება.

ტარიელ ფუტკარაძე: „ქართველ საზოგადოებაში რელიგიური რადიკალიზმი არ არსებობს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ნები და მუსლიმანები. ერთ ოჯახში შეიძლება იყოს ქრისტიანიც და მუსლიმანიც. აჭარაში, პანკისის ხეობაში და ზოგადად, საქართველოში არანაირი საფრთხე არ არსებობს. ამაში ეჭვი არ მეპარება.

ადამიანი რადიკალია თავისი გაუნათლებლობის, ან თავისი ფანტაზიების გამო. ასეთი ადამიანი ყველგან შეიძლება არსებობდეს. ფანატიკოსი რადიკალის ფანატიზმს შეიძლება გასაქანი მისცეს ორმა გარემოებამ – ერთია გაუნათლებლობა და სიბნელე, მეორე – მეორე მხრიდან პროვოცირება.

ტარიელ ფუტკარაძე ამბობს, რომ მსოფლიომ სხვაგვარად უნდა შეხედოს ავღანეთში, ერაყსა და სირიაში მრავალი ათწლეულის მანძილზე მიმდინარე მოვლენებს.

– ამ რეგიონში, სადაც ნავთობია, მიმდინარეობს მრავალწლიანი ომები. ფანატიკოსები არსებობენ ყველა მიმართულებაში, რომელიც თავს იჩენს, გარკვეულწილად, გაუნათლებლობის პირობებში. იგივე ხდება პროვოცირების პირობებშიც.

რაც მოხდა პარიზში, ძალიან ცუდი მოვლენაა. რამდენიმე თვის წინ მსგავსი მოხდა სტამბულში და რამდენიმე კაცი დაიღუპა. გაცილებით მეტი ხალხი იღუპება ერაყსა და სირიაში. მსოფლიოს ადეკვატური რეაქცია უნდა ჰქონდეს ყველა ფაქტზე. სიცოცხლის მოსპობა პარიზში, სტამბოლსა და სირიაში ერთი და იგივეა, – ამბობს პროფესორი ფუტკარაძე.

– კითხვები ისმება, რატომ არ მოჰყვა მწვავე რეაქცია სირიაში რადიკალი ისლამისტების მხრიდან 400 ბავშვის დახვრეტის ფაქტს?

– ამიტომ ვამბობ, მსოფლიო ერთნაირად უნდა რეაგირებდეს ყველა ფაქტზე. არ უნდა იყოს ორი სტანდარტი. დასავლელი ლიდერები ვალდებულები არიან, ახლა მაინც დაფიქრდნენ, რადიკალიზმის ხელშემწყობი ხომ არ არის თვითონ დასავლეთის პოლიტიკაში გარკვეული ხარვეზები.

განაწყენება საქართველოში შეიძლება გამოვხატოთ ხელის არ ჩამორთმევით, არ დალაპარაკებით, მაგრამ რადიკალი მუსლიმანი ბომბის აფეთქებაზე მიდის. გარკვეულწილად, ამ დამოკიდებულებას იწვევს საკამათო დამოკიდებულება ცივილიზებული დასავლეთისა აზიის მიმართ.

რაღაც პროექტის შემუშავებაა საჭირო. მთელი მსოფლიო უნდა წავიდეს სხვა მიმართულებით. ამ რეგიონში უნდა ჩაიდოს გარკვეული თანხა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანებს, რომ არ შიოდეთ. იმდენი ხანია, ავღანეთში, ერაყსა და სირიაში ომები მიმდინარეობს, ხალხი შიმშილობს და განათლებას ვერ ღებულობს. თუ ადამიანს განათლება არ აქვს, იქ ხდება რადიკალიზმის აღმოცენება.

– რადიკალიზმი მათი სხვაგვარი ფსიქოლოგიიდან ხომ არ გამომდინარეობს?

– არავითარი სხვაგვარი ფსიქოლოგია არ აქვთ. რადიკალიზმს დაამარცხებს განათლება, ჯანმრთელი ცხოვრება. მთელი საზოგადოება უნდა დაფიქრდეს და სხვაგვარად იაზროვნოს, რატომ ხდება, რომ ადამიანი თავს იკლავს. დასაფიქრებელია, რატომ მიდიან ადამიანები ტერორიზმამდე.

– გასულ წლებში ჩვენს რეალობაში იყო უთანხმოებები მუსლიმანური და ქრისტიანული თემის წარმომადგენლებს შორის. ამას როგორ ახსნით?

– აღნიშნული პრობლემა კარგად შევისწავლე და ვიცი, რომ ეს იყო პროვოცირებული პრობლემები. არავითარი უთანხმოება არ არსებობს საქართველოში ქრისტიანულ და მუსლიმანურ თემებს შორის.



– ვის მიერ იყო პროვოცირებული?

– გარეშე ძალების მიერ. ამგვარი პროვოცირებული დაპირისპირებით უნდოდათ, ამა თუ იმ ხელისუფლებისთვის ძირი გამოეთხარათ. უნდოდათ, ამგვარი დაპირისპირებები საერთაშორისო ველში მოქცეულიყო. საქართველოში, ჩვენს საზოგადოებაში, რადიკალიზმი არ არსებობს.

– ისლამისტ რადიკალებში ქართველებიც ურევია. რა აიძულებთ მათ, რადიკალებს რომ უერთდებიან?

– ისლამისტ რადიკალებს უერთდებიან საქართველოდანაც, რუსეთიდანაც, საფრანგეთიდანაც. ზოგს ამოძრავებს პირადი შურისძიება, ზოგს – ფული, ზოგი გაუნათლებლობის გამო მიდის. ფანატიზმი გამოსავალი არ არის, თავის აფეთქება გამოსავალი არ არის, არანორმალური მოვლენაა.

– ჭაღალიძეს ბათუმის უნივერსიტეტი ჰქონია დამთავრებული. სამსახური ვერ უშოვია და წასულა სირიაში.

– ადამიანებს შეიძლება სხვადასხვა მოტივაცია ჰქონდეთ. უნივერსიტეტის დამთავრება განათლებას არ ნიშნავს. რამდენი ადამიანი ამთავრებს უნივერსიტეტს, მაგრამ ყველა განათლებული არ არის. ადამიანი რატომ ირჩევს ამა თუ იმ გზას, გასარკვევია მისი პირადი ცხოვრება და სხვა პრობლემებია გასაანალიზებელი.

ნაციონალები პენსიის გაზრდის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობა პენსიების გაზრდის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას იწყებს. ისინი პენსიის გაზრდას 50 ლარით ითხოვენ.

ყოფილი ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ამის გაკეთება შესაძლებელია, „ქართული ოცნების“ თქმით კი, ამ ეტაპზე პენსიის გაზრდა შეუძლებელია.

– პენსიის გაზრდა ჩვენ ყველაზე მეტად გვინდა, მაგრამ ამის გაკეთება ისეთი ადვილი არ არის, როგორც ამას ნაციონალები წარმოადგენენ, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური.

ის დარწმუნებულია, რომ ნაციონალებმა ეს თემა მხოლოდ პიარისთვის წამოწიეს და პენსიები სულ არ ადარდებთ.

– 2016 წელს საპარლამენტო არჩევნები ტარდება, ნაციონალ;ებმა კარგად იციან მათი სავალალო რეიტინგის შესახებ და ცდილობენ, ასეთი პიარაქციებით შეიძინონ მხარდამჭერები. პენსიის გაზრდა თუ შეეძლოთ, რატომ არ გაზარდეს, როცა ხელისუფლებაში იყვნენ? განა ისინი არ ჰპირდებოდნენ ხალხს, პენსია 100 დოლარი გახდებაო?! – კითხულობს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი.

საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ პენსიის გაზრდის საკითხს ნაციონალები კიდევ უფრო გაამწვავებენ.

– ახლა დაიკავებენ ხალხზე მზრუნველების პოზას და ათას სისულელეს მოიგონებენ. დაასახელეს რაღაც ციფრები, რომელთა მიხედვითაც, ისინი პენსიების გაზრდას გვთხოვენ. ვაცხადებ, რომ პენსიის გაზრდა ერთ შემთხვევაში შეიძლება, პენსიას თუ გავზრდით, მაშინ თანხები სხვა სეგმენტს უნდა მოვაკლოთ, – ამბობს მეჭიაური.

დეპუტატის თქმით, ნაციონალები მათ აიძულებენ, რომ საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსების ხარჯზე გაზარდონ პენსიები.

– ნაციონალებს არასდროს მოსწონდათ, რომ ამ პროგრამას ვაფინანსებდით, ყველაზე ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ უმეტესობა უარყოფითად იყო განწყობილი. პენსიები რომ გავზარდოთ, გამოდის, რომ ამ პროგრამას უნდა მოვაკლოთ ფული. რამდენიმე ლარით პენსიის გაზრდა პენსიონერებისთვის დიდი შეღავათი შეიძლება არ იყოს, მაშინ როცა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ადამიანების სიცოცხლის გადარჩენაა შესაძლებელი. ახლა მითხარით, როგორ შევამციროთ ამ პროგრამის დაფინანსება, – აცხადებს კომიტეტის თავმჯდომარემ.

მისი თქმით, ხელისუფლება ნაციონალების შემოძახილის გარეშეც მუშაობს პენსიის გაზრდის გზებზე.

–– ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ რაღაც თანხები გამოვნახოთ, რათა პენსია გავზარდოთ. ამ ეტაპზე გამიჭირდება იმის მტკიცება, გაიზრდება თუ არა მომავალ წელს პენსია. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ და თუ რაიმე საშუალება გამოჩნდა, აუცილებლად გავახარებთ ჩვენს პენსიონერებს, – აღნიშნავს დეპუტატი.

ის არც იმ მოსაზრებას იზიარებს, რომ პენსიის გასაზრდელ თანხებს ხელისუფლება პრემიებსა და დანამატებში ხარჯავს.

– სასაცილოა, ნაციონალები ვინმეს პრემიებს რომ წამოაძახებენ. პრემიებს ეგენი იწერდნენ თუ იწერდნენ. ახლა ეს საკითხი დარეგულირებულია. პირადად მე, რაც პარლამენტის წევრი ვარ, მხოლოდ ერთხელ ავიღე პრემია. პრემია ნაციონალებმაც კარგად აიღეს, თუ მისი აღება დანაშაულია, რატომ არ თქვეს ამაზე უარი? – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

* * *

ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილი პარტიის სახელით ჯიუტად ამტკიცებს, რომ პენსიის გაზრდა შესაძლებელია.

– ბიძინა ივანიშვილის მთავრობა, რომელიც ხელისუფლებაში 220-ლარიანი პენსიის დაპირებით მოვიდა, ციფრებით მანიპულირებს და ოღონდ პენსია არ გაზარდოს, ყველანაირ ტყუილს კადრულობს, – შფოთავს ჭიაბერაშვილი.

ნაცმოძის ერთ-ერთი ლიდერი ერს იმის შესახებაც აფრთხილებს, რომ 2012 წელთან შედარებით, 2016 წელს ხალხს მთავრობის შენახვა 456 მილიონი ლარით მეტი დაუჯდება.

– განცხადება იმის თაობაზე, თითქოს ამ ნამატში მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება შედის, ტყუილია, რადგან მასწავლებელთა ხელფასი სკოლების ვაუჩერული დაფინანსების ნაწილია.

სიმართლეს არ შეესაბამება ღარიბაშვილისა და ხადურის ის განცხადებაც, თითქოს პოლიციელთა და ჯარისკაცთა შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. სინამდვილეში, თავდაცვის სამინისტროს შრომის ხარჯები მხოლოდ 9 მლნ ლარითაა გაზრდილი, ხოლო



თამაზ მეჭიაური: „შესაძლებლობა თუ იქნა, პენსიები გაიზრდება“

შს სამინისტროსი – 33 მლნ ლარით, – აცხადებს ნაციონალი.

მისი თქმით, ეს ზრდა არაფერია იმასთან შედარებით, როგორც გაიზარდა ბიუროკრატიის ხარჯები სხვადასხვა უწყებებში.

ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, ამ ამბავში მაგალითის მიმცემი თავად ღარიბაშვილია: მხოლოდ მთავრობის ადმინისტრაციის ხარჯი 12-დან 17 მლნ ლარამდე გაიზარდა.

მისივე განცხადებით, პარლამენტის შენახვა 12 მლნ ლარით მეტი გვიჯდება, ხოლო იუსტიციის სამინისტროსი – 15 მლნ ლარით. ჭიაბერაშვილის განცხადებით, ყველა უწყების შენახვა გაძვირდა.

ამ ფონზე ნაციონალები კიდევ ერთხელ ითხოვენ პენსიის გაზრდას და იმედოვნებენ, რომ ხელმოწერებს მრავლად შეაგროვებენ, რითიც ხელისუფლებას პენსიის გაზრდას აიძულებენ.

ირმა ინაშვილი: „ხიდაშელს რქებს მოვამტვრევ“

უჩა ნანუაშვილმა მოშიმშილეების მონახულება გაბედა

შორენა მარსაგიშვილი

21 ნოემბერს პატიოტთა აღიანსის წევრები სახელმწიფო ჯანცელარიასთან დიდი მიტინგის გამართვას აპირებენ. აღიანსის ერთ-ერთი ლიდერის, ირმა ინაშვილის, განცხადებით, ისინი ახალ სამოქმედო გეგმას ამ მიტინგზე გამოაცხადებენ.

შიმშილობის აქცია ალიანსელებმა მიმდინარე წლის 9 ნოემბერს დაიწყეს. რამდენიმე დღის განმავლობაში „ქართული ოცნება“ მათ თითქოს ვერ ამჩნევდა. გამონაკლისი რესპუბლიკელები იყვნენ, ისინი მოშიმშილეებს დაუფარავ ქოქოლას აყრიდნენ და მათგანაც იგივეს ღებულობდნენ.

ბოლო დღეებში „ქართულმა ოცნებამ“ „პლასტინკა“ შეცვალა. რამდენიმე დეპუტატმა ამ დღეებში მათ გამო რესპუბლიკელებს სიტყვიერად „უბწკინა“. მერე ვიცე-პრემიერი კახა კალაძე გამოვიდა და მათთან მოლაპარაკების სურვილი გამოთქვა.

20 ნოემბერს მოშიმშილეები საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე სოსო ჯაჭვლიანმა მოინახულა. მისი ეს ნაბიჯი არავის გაჰკვირვებია.

სამაგიეროდ, მოშიმშილეები და მთელი საქართველო ლამის შოკში ჩავარდნენ, როდესაც კანცელარიასთან სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი გამოჩნდა. ასეთი სასწაული საქართველოს კარგა ხანია, არ უნახავს.

წესით და რიგით, სახალხო დამცველი აქამდეც უნდა მისულიყო მოშიმშილეებთან, მაგრამ რატომღაც ფეხს ითრევდა.

20 ნოემბერს ნანუაშვილის გამოცხადება ირმა ინაშვილმა ქვეყნიდან თინა ხიდაშელის წასვლას დაუკავშირა.

– მთავრობის დირექტორი თინიკო ხიდაშელი უცხოეთში გაფრინდა და სახალხო დამცველი მივიდა მოშიმშილეებთან. ისეთ ქვეყანას რა ვუთხარი, სახალხო დამცველიც რომ შიმშილობის მე-13 დღეს მივა აქციის მონაწილეებთან. ყოჩაღ, თქვენ. ყველას სახე გამოჩნდა. მაინცდამაინც საგარეჯოს არჩევნებში უნდა მიმეღო მონაწილეობა, რომ ნიღბების ჩამოხსნის პროცესი დაწყებულიყო?! – აღნიშნა ინაშვილმა.

ალიანსის სახელით ის მძლავრი საპროტესტო ტალღის აგორებას აანონსებს. მათი მთავარი სამიზნე კვლავაც თინა ხიდაშელია. ეს უკანასკნელი ალიანსის ლიდერმა რამდენიმე დღის წინ ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინს შეადარა. ამის მერე რესპუბლიკელები თინას შინაურულად თინ ხიშ ინად მოიხსენიებენ.

ინაშვილი ამტკიცებს, რომ თინ ხიშ ინი ქვეყნისთვის სერიოზული საფრთხის მატარებელი გახდა. კიმ ჩენ ინის შემდეგ, მან ამირსპასალარი სააკაშვილს და მერაბიშვილს შეადარა.

– თავდაცვის მინისტრის პოსტზე თინა ხიდაშელი სახიფათო იმიტომაა, რომ ხიდაშელი აზროვნებს, როგორც სააკაშვილი და უფრო ზუსტად, როგორც ვანო მერაბიშვილი. ამ უკანასკნელმა შექმნა პირადად მისთვის ერთგული საპატრულო პოლიცია. პირადად მისთვის ერთგულ ჯარს აყალიბებს თინათინ ხიდაშელიც. არა სახელმწიფოსთვის, არამედ პირადად მინისტრისთვის ერთგულმა პოლიციამ რა ტრაგიკული შედეგი მოგვიტანა, ეს ვნახეთ ქუჩაში დახოცილი ადამიანების სახით, – აღნიშნავს ალიანსის თავქალი.

მისი თქმით, ყველა სიკეთესთან ერთად,

ხიდაშელიც „კაი ტიპის“ როლს თამაშობს.

– მერაბიშვილი „კაი ტიპს“ თამაშობდა. რიგით პატრულსაც კი პირადად ულოცავდა დაბადების დღეს, პრემიითა და ძღვნით ასაჩუქრებდა და პირად ერთგულებას იხვეჭდა. იგივეს იმეორებს ხიდაშელი. მას ჯარი სჭირდება არა როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, მთლიანობის, სტაბილურობის, არამედ როგორც პირადი ძალაუფლების დაცვისა და განმტკიცების გარანტი, როგორც 2016 წლის არჩევნებში „გამარჯვების“ გარანტი.

ხიდაშელიც, ვანოს მსგავსად, ჯართან „კაი ტიპშას“ თამაშობს და რეალურად ძალიან სახიფათო თამაშს თამაშობს.

ქართული ჯარი ხიდაშელის ჯარად ქცევის საფრთხის ქვეშ დგას, ხოლო ხიდაშელის ჯარი ჩემნაირებს, ანუ პოლიტიკურ ოპონენტებს მარტო „რუსს“ კი არ დაუძახებს, ადგილზე დახვრეტის ბრძანებასაც შეასრულებს, – აღნიშნავს ფეისბუქით გავრცელებულ განცხადებაში ირმა ინაშვილი.

ის პირობას დებს, რომ თინა ხიდაშელს რქებს მოამტვრევს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ალიანსის საპროტესტო აქციები უშუალოდ თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ლაშა თორდია: „სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დანამატები არ გაიცემა“

ლაშა თორდიას განცხადებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დანამატები არ გაიცემა. მისივე თქმით, როდესაც პრემია გაიცემა თანამშრომლებზე, ეს შესაბამისი დასაბუთებით ხდება.

– ჩვენ სამსახურში დანამატი არ გაიცემა. მე არ ამიღია არც პრემია და არც დანამატი. პრემიები ჩვენს თანამშრომლებზე გაიცემა შესაბამისი დასაბუთების შემდგომ, – აღნიშნა თორდიამ.

რაც შეეხება ფინანსთა მინისტრის განცხადებას აუდიტის სამსახურში ხელფასების 131%-ით ზრდის თაობაზე, თორდიას თქმით, ეს მართალია, თუმცა არაშესაფერისი შედარებაა.

ლაშა თორდია:

– შედარება იყო გაკეთებული, რომ თითქოს 131 %-ით გაიზარდა ხელფასები. ფინანსთა მინისტრმა ოთხწლიანი ინტერვალი აიღო – 2012 წლიდან და 2016 წლამდე. გიდასტურებთ, რომ გაიზარდა, თუმცა ეს მოხდა ოთხწლიან პერიოდში.

შედარება კეთდება წინა წელთან. ანუ, იმის თქმა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში გაიზარდა ხელფასები 131%-ით, არაშესაფერისი შედარებაა.

ინტერპრესნიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ქართლში მსხვილფეხა პირუტყვის დაცემა დაფიქსირდა

ლალი დავითური

რამდენიმე დღის წინ შიდა ქართლში მსხვილფეხა საქონლის დაავადების და დაცემის ფაქტები დაფიქსირდა.

„ახალი თაობა“ დაუკავშირდა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის ქართლის რეგიონალური სამმართველოს ხელმძღვანელ გოგა ტურაშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ 3 სოფელში დაფიქსირდა ცხოველთა დაცემის ფაქტები. ჩატარდა ვაქცინაცია, ცხოველებისა და მათი სადგომების დეზინფექცია და დღეისთვის ეს დაავადება ლოკალიზებულია.



მსხვილფეხა საქონლის დაავადების ფაქტები გამოვლინდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონშიც. მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში დაავადების შედეგად რამდენიმე სული საქონელი დაიხოცა.

„ახალი თაობა“ დაუკავშირდა სოფლის მცხოვრებელს გიორგი დ-ს, რომელმაც განაცხადა:

– მოულოდნელად მომიკვდა მეწველი ძროხა. თავიდან კანზე გამოაყარა, არ მივაქციე ყურადღება, სერიოზულად არ მომეჩვენა დაავადება, მაგრამ ძროხა 2 დღეში მოკვდა. შემდეგ გავიგე, რომ მეზობლის ძროხაც იმავე სიმპტომებით მოკვდა, კიდევ დაავადდა და რამდენიმე სულიც, შევშინდით და სოფლის გამგებელმა ვეტერინარიის სამსახურს შეატყობინა.

– რა თქვეს ვეტერინარებმა, რა დაავადებაა?

– თქვეს, კანის დაავადებაა, დერმატიტი თუ რაღაც ამგვარი. მთელი სოფლის მსხვილფეხა საქონელს ვაქცინაცია ჩაუტარეს. გაგვაფრთხილეს, საქონლის დაცემის შემთხვევაში ლეში აუცილებლად უნდა დავმარხოთ, ვაქცინაციის შემდეგ, 5 დღის განმავლობაში, რძე საერთოდ გადავაქციოთ, ერთი თვის განმავლობაში კი უმი რძე არ გამოვიყენოთ, მოწველილი რძით ყველი არ ამოვიყვანოთ. მხოლოდ ადუღებული რძის გამოყენების უფლება დაგვრთეს.

ეს ცოტა ძნელია, ვიზარალებთ, მაგრამ ძროხის დაკარგვასთან შედარებით, ეს არაფერია. მადლობის მეტი რა გვეთქმის.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში გვითხრეს, რომ სააგენტო საქმის კურსშია.

– მცხეთა-მთიანეთში დაფიქსირებულია 3 შემთხვევა. სააგენტოს თანამშრომლები ოპერატიულად გავიდნენ ადგილზე, მოახდინეს რეაგირება, აიღეს პათნიმუშები და სწავლობენ კრიტიკულ ნიშნებს, – განაცხადეს სააგენტოში.

– რომელი დაავადების ნიშნებია, საშიში დაავადება ხომ არ არის?

– დაავადება დერმატიტია თუ სხვა რამე, ჯერჯერობით დადგენილი არ არის. მას შემდეგ, რაც ლაბორატორიული კვლევის შედეგად გარკვეული მონაცემები გვექნება, ჩვენ უკვე კონკრეტულად გეტყვით, რა დაავადებასთან გვაქვს საქმე და შესაბამის ღონისძიებებსაც ჩავატარებთ.

– საშიში დაავადება დერმატიტი?

– დერმატიტი არ არის ისეთი საშიში, როგორც ჯილეხი. ექვემდებარება მკურნალობას და საჭიროა მისი მკურნალობა. ჩვენი სპეციალისტები ამ თემასთან დაკავშირებით არიან ინფორმირებულები, გავიდნენ ადგილზე და ვაქცინაციასთან ერთად მოსახლეობას რეკომენდაციებიც მისცეს მსხვილფეხა პირუტყვის მოვლისა და რძის პროდუქტების გამოყენების შესახებ.

„ელექტროენერგიის გაძვირება დოლარის გამყარებამ გამოიწვია“

– როდესაც ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით, ელექტროენერგიის საფასური 4 თეთრით შევამცირეთ.

ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ელექტროენერგიის ტარიფებთან დაკავშირებით დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მისი თქმით, ტარიფების კორექტირებასთან დაკავშირებით განცხადება რამდენჯერმე იქნა გაკეთებული და იმის გამომწვევი მიზეზებიც იქნა ახსნილი, თუ რატომ დაუბრუნდა ისევ იმ ძველ ნიშნულს, რომელიც 2012 წელამდე იყო.

– ეს მოსახლეობისთვის მძიმე და მტკივნეულია, როდესაც ჩვენ იმ ძველ ნიშნულს დავუბრუნდით. როცა ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით, 4 თეთრით შევამცირეთ ელექტროენერგიის საფასური, თუმცა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, როდესაც დოლარი ლართან გამყარდა, ჩვენ გვიწევს, განსაკუთრებით ზამთრის თვეებში, დიდი რაოდენობით ელექტროენერგიის შემოტანა, ასევე თბოელექტროსადგურები, რომლებიც გაზზე მუშაობს და ჩვენ გაზის საფასურს დოლარით ვიხდით.

ამის გამო მოხდა ტარიფის კორექტირება და იმ ძველ ნიშნულზე დაბრუნება, რომელიც 2012 წლამდე იყო, – განაცხადა კალაძემ.

მისი თქმით, გაზპრომის ხელმძღვანელთან სამომავლო შეხვედრის თარიღი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

– ჯერ არ არის გადაწყვეტილი, როდის იქნება სამომავლო შეხვედრა. როცა თარიღი ცნობილი გახდება, თქვენც გეცოდინებათ და საზოგადოებასაც, – განაცხადა კახა კალაძემ.

მინისტრმა ისაუბრა იმ აქციაზე, რომელიც ბიძინა ივანიშვილის სახლთან გაიმართა გაზპრომის წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ ნაციონალური მოძრაობის გარკვეულ დაჯგუფებას კანონის ფარგლებში პროტესტის გამოხატვის უფლება აქვს.

– ეს არის ნაციონალური მოძრაობის გარკვეული დაჯგუფება, მათ აქვთ ამის უფლება. ჩვენ ვცხოვრობთ თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში, დღეს უკვე განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები ქვეყანაში არ იდევნებიან. შესაბამისად, მათ აქვთ პროტესტის გამოხატვის უფლება კანონიერ ფარგლებსა და ჩარჩოებში, რა თქმა უნდა, – განაცხადა კახა კალაძემ.

ნატახტარი ხადურს სიტყვაზე ენდო

მარკირების გადასახადი ბიზნესს არ დააწვება

უალკოჰოლო სასმელების მწარმოებლები ფინანსთა მინისტრის განცხადებას წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებენ. საუბარია ნოდარ ხადურის განცხადებაზე, რომელიც მან „კომერსანტის“ შეკითხვაზე პასუხისას გააკეთა.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რა პასუხი აქვს ფინანსთა მინისტრს უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელთა მოთხოვნაზე, მიიღონ დოკუმენტური სახის გარანტია, რომ მარკირების გადასახადის გადახდა ახლო მომავალში ბიზნესს არ დააწვება და მას მომავალშიც შემოსავლების სამსახური გადაიხდის.

ფინანსთა მინისტრმა ამ შეკითხვას ასეთი პასუხი გასცა:

– ჩვენ მეწარმეებისთვის არასდროს გვითქვამს, რომ მარკირების გადასახადს მხოლოდ ორ თვეს გადაიხდიდა შემოსავლების სამსახური. ვფიქრობ, მარკირების პროცესი დაწყებულია, გაგრძელდება და არანაირი შეფერხება არ იქნება.

აღნიშნული განცხადების კომენტარისას „ნატახტარის“ კორპორატიული დირექტორი ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ნოდარ ხადურის განცხადება ქართველ მწარმოებლებს აძლევს იმის იმედს, რომ მთავრობის დაპირება მალე დოკუმენტურადაც გაფორმდება.

– ჩვენ უფლება არ გვაქვს, არ დავიჯეროთ მინისტრის სიტყვები, რომელიც ამბობს, რომ ბიზნესი არ გადაიხდის მარკირების გადასახადს. ღია ეთერში რომ ამბობს მინისტრი, ამის გადათქმა ძნელია. ისინი ამას საიდან გადაიხდიან, ჩემი საქმე შეიძლება არ იყოს, შეიძლება ტარიფი დააწევინონ და ბიუჯეტს ნაკლებ ტვირთად დააწვნენ, ან რაიმე სხვა მოხდეს, – აცხადებს ხუნძაკიშვილი

ერთი თვის წინ ნიკოლოზ ხუნძაკიშვილმა „კომერსანტთან“ განაცხადა, რომ წლის ბოლომდე მარკირების გადასახადს სახელმწიფო გადაიხდის, თუმცა ამბობდა, რომ მისთვის გაურკვეველია, მომავალ წელს ამ ხარჯს სახელმწიფო გაიღებდა თუ არა.

– მომავალ წელს ეს ალბათ ბიზნესის გადასახდელი იქნება. სახელმწიფოს მხრიდან არსებობს სიტყვიერი დაპირება, რომ მარკირების გადასახადი ბიზნესს ზედმეტ ტვირთად არ დააწვება, თუმცა, ამის შესახებ დოკუმენტური მტკიცებულება არ გვაქვს. თუ სახელმწიფო მართლა სერიოზულია ამ განცხადებებში, ეს ყველაფერი გამყარდეს ან მინისტრის ბრძანებით, ან ბიუჯეტის პროექტში, ან სხვა მხრივ, – აცხადებდა ხუნძაკიშვილი

* * *

არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებისთვის სავალდებულო მარკირების შემოღების ბრძანება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა. ვალდებულება 1 ნოემბრიდან ამოქმედდა. სერვისს შემოსავლების სამსახური, საკუთარი მომსახურებებიდან მიღებული თანხებით აფინანსებს.

ელექტრონულ მარკირებას საქართველოს სახელმწიფოსთან დადებული ექსკლუზიური ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელებს შვეიცარული კომპანია. უალკოჰოლო სასმელების მწარმოებლები, ზედაზენის გარდა, აღნიშნული გადასახადის შემოღებას აპროტესტებდნენ და აცხადებდნენ, რომ შესაძლოა, სავალდებულო მარკირება სასამართლოში გაასაჩივრონ.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე

თამბაქოს პროდუქციასა და ალკოჰოლზე აქციზი იმატებს

ფინანსთა სამინისტრო ინფორმაციას აქვეყნებს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თამბაქოს პროდუქციასა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის მატებასთან დაკავშირებით ინფორმაციას აქვეყნებს.

უწყების ცნობით, საქართველოს მთავრობის 19 ნოემბრის სხდომაზე „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი განიხილეს, რომელიც 2016 წლის 1 იანვრიდან თამბაქოს პროდუქციასა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის მატებას ითვალისწინებს.

კანონპროექტის მიღების მიზანია თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გამკაცრება, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის ოპტიმიზაცია.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან აქციზის ფიქსირებული განაკვეთის ზრდა დაგეგმილია:

ფილტრიან სიგარეტზე (20 ღერზე) – 0,20 ლარით

უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) – 0,05 ლარით

სიგარებზე 1 ღერზე და სიგარალებზე 20 ღერზე – 0.4 ლარით

ყალიონით მოსაწევ და საღეჭ ან საყნოს თამბაქოზე 1 კგ-ზე – 5 ლარით.

ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) აქციზის პროპორციული განაკვეთი იზრდება 5–დან 10 პროცენტამდე.

2016 წლის 1 იანვრიდან ვისკიზე, რომზე და ტაფიაზე, ჯინისა და ღვინის ნაყენზე აქციზის განაკვეთი იზრდება 10 ლარიდან 15 ლარამდე, ხოლო სხვა ალკოჰოლურ სასმელებზე და ეთილის სპირტზე (გარდა, ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით მიღებული სპირტის ნაყენებისა, ლიქიორებისა და ზოგიერთი სხვა დაბალი ალკოჰოლური სასმელისა), აქციზის განაკვეთი გაიზრდება 10 ლარამდე.

მთავრობის სხდომაზე განხილვის შემდეგ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი განსახილველად საქართველოს პარლამენტს გაეგზავნება.

ბიბიენი

საქართველოში 7-ჯერ მეტი არაყი მოიხმარება, ვიდრე ღვინო

– ცუდი ღვინო პრაქტიკულად აღარ იყიდება.

ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ მისი უწყების საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციაზე 20 ნოემბერს განაცხადა.

დანელიას განმარტებით, ამით შეგვიძლია, ვიამაყოთ.

– ღვინის ხარისხი სისტემატურად კონტროლდება. ცუდი ღვინო პრაქტიკულად აღარ იყიდება. ძალიან ცოტა გამოვლინება იყო საეჭვო ღვინის. შეგვიძლია, ამით ვიამაყოთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ბოთლი ღვინო, რომელიც ქართულ დახლზე დევს, მაქსიმალურად უტოლდებოდეს ნებისმიერ ექსპორტირებულს, რადგან ექსპორტის ნაწილში იმიჯი გაცილებით მეტი აქვს ქართული ღვინის ხარისხს, – აღნიშნა ოთარ დანელიამ.

საქართველოში არყისა და ღვინის მოხმარების საკითხზე საუბრისას, მინისტრმა განაცხადა, რომ მონაცემები სავალალოა, ვინაიდან 7-ჯერ მეტი არაყი მოიხმარება, ვიდრე ღვინო.

– სამწუხარო ციფრები გვაქვს არყისა და ღვინის მოხმარების ნაწილში. დაახლოებით 7-ჯერ მეტი არაყი მოიხმარება საქართველოში, ვიდრე ღვინო, რაც საკმაოდ სავალალო ციფრია. ამიტომ ჩვენ ვგეგმავთ, ხელი შევუწყოთ ამის ბალანსს, – აღნიშნა მინისტრმა.

მისი თქმით, სოფლის მეურნეობის სექტორში 139 ახალი საწარმოა შექმნილი, უახლოესი თვეების განმავლობაში კი დაგეგმილია კიდევ 20 საწარმოს ამოქმედება.

– დაწყებული ბიუჯეტიდან, ჩვენ პრაქტიკულად ყველა მიმართულებით გვაქვს მნიშვნელოვანი ზრდა. დაახლოებით 100 ათასი ჰექტრის წყალუზრუნველყოფა განხორციელდა. ასევე მნიშვნელოვანია პროექტების მართვის სააგენტოს მუშაობა. უკვე 139 ახალი საწარმოა საქართველოში სხვადასხვა პროფილისა და მიმართულების. დამატებით კიდევ 20 გვექნება სულ რამდენიმე თვეში, – განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

ოთარ დანელიამ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებაც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ პარლამენტს მისი უწყების მიმართ შენიშვნები არ ჰქონია.

– ჩვენს სამინისტროსთან დაკავშირებით ოფიციალური შენიშვნა არ მიგვიღია. თუ იქნება, მზად ვართ, ვიმსჯელოთ, მაგრამ პრინციპში ეს არ არის კომფორტული ბიუჯეტი, ეს არის აუცილებელი ბიუჯეტი, –განაცხადა მინისტრმა.

თამარ ჟვანიამ ცესკო საკუთარი ოჯახის შპს-დ აქცია

ცესკოს თავმჯდომარემ უწყებაში შვილები, შვილის მეჯვარე, ასევე სიძისა და ქმრის ნათესავები დაასაქმა

კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივის“ დამფუძნებლის ლაშა ფარულავას განცხადებით, სახელმწიფოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის (ცესკო) თავჯდომარის, თამარ ჟვანიას შენახვა 292.075.04 ლარი დაუჯდა.

ფარულავას თქმითვე, თამარ ჟვანიამ ცესკოში თავისი ნათესავები დაასაქმა.

– საზოგადოებრივი ინიციატივა აგრძელებს სახელმწიფო ორგანიზაციების მონიტორინგს. ამ ეტაპზე გვინდა საზოგადოებას გავაცნოთ საჯარო ინფორმაცია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თამარ ჟვანიას 2014 წლის და 2015 წლის ოქტომბრის მდგომარეობით მიღებული შემოსავლების შესახებ.

ქალბატონმა თამარმა, 2014 წლიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით 130.27.55 ლარის ოდენობით თანამდებობრივი სარგო მიიღო, ასევე პრემია – 56.682 და დანამატი – 56.855 ლარი, სამივლინებო ხარჯი – 47.810. 49 ლარი.

სახელმწიფოს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავჯდომარის შენახვა, ზემოთ მოცემულ წლების მიხედვით, 292.075.04 ლარი დაუჯდა.

ჩვენი ორგანიზაცია ასევე დაინტერესდა ცესკო-ში არსებული ნეპოტიზმის ფაქტებით. კერძოდ, 2014-2015 წლებში ქალბატონმა ჟვანიამ აღნიშნულ უწყებაში – შვილები ცისია ყაველაშვილი და გიორგი ყაველაშვილი, შვილის მეჯვარე – თამუნა ბატიაშვილი, შვილის მეგობარი თათია ზარქუა, და – ნათია ჟვანია, სიძის და ნინო ყავრელიშვილი, მაზლის ცოლი – ლეილა სიბაშვილი, სიძის ნათესავი – ტარიელ ნათენაძე და ქმრის ნათესავი – ირინა ბუზალაძე დაასაქმა, – აცხადებს ფარულავა.

„საზოგადოებრივი ინიციატივის“ დამფუძნებლის შეფასებით, იმ დროს როდესაც ქვეყანაში უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ფუფუნება მიუღებელია, მით უფრო ოჯახის წევრების და ნათესავების დასაქმება. ფარულავას განცხადებით, ფაქტიურად ცესკო თამარ ჟვანიამ საკუთარი ოჯახის შ.პ.ს.-დ აქცია.

ნიუსპრესი

გია ვოლსკი: „მთავრობამ კეთილი ინებოს და პრემიების საკითხი დაარეგულიროს“

უმრავლესობის წევრის, გია ვოლსკის განცხადებით, პრემიების დარეგულირებას კანონი არ უნდა სჭირდებოდეს და ეს მთვრობამ უნდა დაარეგულიროს.

გია ვოლსკი:

– ეს არის მთავრობის მიერ დასარეგულირებელი და ამას არ უნდა სჭირდებოდეს კანონი. 2017 წელს იქნება ეს კანონი, მაგრამ მანამდე, მთავრობამ კეთილი უნდა ინებოს და თავის სისტემაში დაარეგულიროს ეს საკითხი ისე, რომ არ იწვევდეს ზედმეტ კითხვებს, მითუმეტეს გაღიზიანებას.

ნიუსპრესი

დავით დვალმა მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილება გაასაჩივრა

„რუსთავი 2-ის დროებითი მმართველობიდან ჩემი ჩამოშორება სწორი არ არის“

დავით დვალმა მოსამართლე ურთმელიძის ის გადაწყვეტილება გაასაჩივრა, რომლის თანახმადაც, ის ამოირიცხა რუსთავი 2-ის დროებითი მმართველობიდან.

ტელეკომპანიის დროებით მმართველად დვალის დანიშვნა და მალევე ამის უარყოფა, მართლაც, საინტერესო იყო და სწორედ ამის ახსნას ითხოვს დვალი.

– ბატონო დავით, რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც თქვენ, როგორც დაინტერესებული პირი, ამოგრიცხათ დროებითი მმართველობიდან?

– პირდაპირ გეტყვით – როცა სასამართლომ თავიდან მიიღო გადაწყვეტილება, რომ მე დროებითი მმართველი უნდა ვყოფილიყავი, იურისტებთან გავიარე კონსულტაცია და ვკითხე, შეიძლებოდა თუ არა ჩავთვლილიყავი დაინტერესებულ პირად. მათგან მივიღე საკმაოდ კვალიფიციური პასუხი, რომ მე სრული უფლება მქონდა, მმართველი ვყოფილიყავი. ამის შემდეგ, ურთმელიძემ შეცვალა გადაწყვეტილება, რომელიც უკვე ჩამბარდა და გავასაჩივრე.

– თქვენი საჩივარი სასამართლოში უკვე შესულია?

– დიახ. კითხვები მაქვს და მაინტერესებს, რა მოხდება. მინდა ამ თემაზე თავიდან იმსჯელონ. მე მაინც მგონია, რომ ჩემი ჩამოშორების შესახებ გადაწყვეტილება სწორი არ იყო. მე დაინტერესებული ვარ, რომ ტელეკომპანია იყოს კარგად და იმუშაოს გამართულად, მე ამ კომპანიის ბედი მაღელვებს და, შესაბამისად, სწორედ მე ვარ სათანადო ფიგურა იმისთვის, რომ მმართველობაში ვიყო.

მე მაქსიმალურად ვიზრუნებდი, რომ კომპანიას პრობლემა არ შექმნოდა. თუმცა, სამართლებრივად ამას კავშირი არ აქვს, იქ რომ წერია, რომ მე მხარე ვარ. მე მხარე არ ვარ.

– გასაჩივრებული გაქვთ მუხლი, რომლის მოქმედებაც საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა. ვთქვათ, პირველი ინსტანციის სასამართლომ თქვენი სარჩელი დააკმაყოფილა. მუხლი შეჩერებულია, თქვენ მმართველი ვერ გახდებით. მაშინ, რა აზრი აქვს თქვენს საჩივარს?

– შეჩერებულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გაუქმებულია. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ამ თემაზე და გამოიტანოს გადაწყვეტილება, შეესაბამება თუ არა კონსტიტუციას ეს მუხლი. ვნახოთ, დაველოდოთ. იმ მომენტისთვის უკვე გარკვეული იქნება ჩემი ამბავიც. მე იმის თქმა მინდა, რომ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის. მუხლი შეჩერებულია, მაგრამ ის მაინც მეცოდინება, რომ სწორი იყო თუ არა ის გადაწყვეტილება, რომ მე დავსახელდი მმართველის თანამდებობაზე.

– მოდით, გულახდილად ვთქვათ, რომ თქვენ საკმაოდ დიდი ნაცნობობა გყავთ მედიაში. თუ გაქვთ კონტაქტი ტელეკომპანიის ჟურნალისტებთან და რა განწყობაა მათში, რას ელიან, რა სურთ?

– მე ვიცი მათი განწყობა – რეალურად მათ მშვიდობა სურთ და სურთ, რომ ყველაფერი მალე დასრულდეს და დასრულდეს მშვიდობიანად. ვის უჭერენ მხარს ან ვის არ უჭერენ, მე მასე არ ვაყენებ საკითხს. უბრალოდ ვხვდები მათ და გავაგრძელებ ამ შეხვედრებს. ახლა უფრო წყნარად მიდის პროცესები და ნებისმიერ კითხვაზე გავცემ პასუხს. მათ ვუხსნი, რომ მმართველი შეიცვლება თუ მფლობელი, მათ სამსახურს საფრთხე არ ემუქრება. განსაკუთრებით ტექნიკურ პერსონალს, რომელიც პროფესიონალებისგან არის დაკომპლექტებული. ჩვენი ინტერესი არ არის, იქ ვინმეს გაშვება და დასჯა.

– რა კომენტარს გააკეთებთ გვარამიას ცნობილ განცხადებაზე, რომ სამართლებრივი პროცესების გაწელვის პოლიტიკით ტელეკომპანიას ამჟამინდელი მენეჯმენტის მმართველობის ქვეშ არჩევნებამდე მიიტანენ.

– რად უნდა მაგას ბევრი ფიქრი და მსჯელობა. ის, ვინც დღევანდელი მფლობელი და მმართველია, ისინი ყოფილი ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერები და ყოფილი ლიდერები არიან. აქვთ სურვილი, რომ ტელეკომპანია გამოიყენონ, როგორც იარაღი და არა მარტო იდეოლოგიური იარაღი.

ბოლო მოვლენებმა აჩვენა, რომ ისინი მზად არიან არა მარტო მოსახლეობის აზრზე ზემოქმედებისთვის, არამედ სხვა მოქმედებისთვისაც. როგორც ჩანს, ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი მათ არანაირ იმედს არ აძლევს და ცდილობენ, ამ გზებით გაიხანგრძლივონ პოლიტიკური მომავალი. ამიტომ, არ გამიკვირდება, რომ არსებობდეს სხვა სცენარიც, არეულობის სცენარი და ზუსტად ამას ვუხსნი თანამშრომლებს, საქმე გვაქვს იმასთან, რომ ეს ბავშვები და ეს ჟურნალისტები უნდა გამოიყენონ სხვა ამოცანებისთვის. მათ არ აინტერესებთ არაფერი, აინტერესებთ მხოლოდ პარტია და ამას ჟურნალისტები უნდა მიხვდნენ.

ნინო ბურჯანაძე: „ნუ ამადლით რუსეთს იმას, რომ ელაპარაკებით!“

– კარასინი-აბაშიძის ფორმატთან დაკავშირებით ზურაბ აბაშიძის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ქართული ხელისუფლების პოლიტიკის კურიოზულობა, – ამის შესახებ პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ დღეს ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ამ განცხადებიდან ჩანს, რომ ჩვენ კი არ გვჭირდება სავიზო რეჟიმის გამარტივება რუსეთთან, არამედ თავად რუსეთს სჭირდება ეს.

როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, საოცარია, რომ ჩვენი ხელისუფლება საერთოდ არ ფიქრობს საკუთარ მოქალაქეებზე და ეს გამოჩნდა აბაშიძის განცხადებების დროს, როდესაც მან თქვა, რომ რუსეთს რაღაც წინადადებები აქვს სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით და ამას გაარკვევს. მაგრამ ამ საკითხის მიმართ საქართველოს ხელისუფლებას ინტერესი არ გამოუჩენია.

ნინო ბურჯანაძე:

– მე, ჩემი რუსეთში ვიზიტის დასრულების შემდეგ გავაკეთე განცხადება, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან საუბრის შემდეგ მივიღე მზადყოფნა მათგან სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებით.

ძალიან დაგვავალებს საქართველოს ხელისუფლება თუ თავისი თვითდაჯერებული პოზიციით არ გააფუჭებს უკვე გაკეთებულ საქმეს. ნუ ამადლით რუსეთს იმას, რომ ელაპარაკებით!

მთელი მსოფლიო ესაუბრება და მთელ მსოფლიოს სჭირდება ამ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობა. ჩვენი ჯარი კი არ დგას კრასნოდარის მხარეში, რუსეთის ჯარი დგას საქართველოს ძირძველ მიწაზე.

ჩვენს მოქალაქეებს სჭირდება რუსეთთან მოლაპარაკება, სავიზო რეჟიმის გაუქმება და რუსეთის ბაზარი. გასაგებია, რომ ხელისუფლებას ეს არ გაწუხებთ, რადგან ძალიან კარგად და თბილად მოეწყვეთ, მაგრამ ხალხზე საარჩევნო წელს მაინც თუ იფიქრებთ, ცუდი არ იქნება.

ნიუსპრესი

ეწ. ხასანას სასტუმროს მეპატრონეს პატიმრობა შეეფარდა

ქობულეთში მდებარე სასტუმრო „არმაზის“ (ეწ. ხასანა) მეპატრონეს, ზაზა ართმელიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

გამოძიება ზაზა ართმელიძეს ეწ. ხასანას სასტუმროში სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევას ედავება, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. გამოძიების ინფორმაციით, სასტუმროში დარღვეული იყო უსაფრთხოების ნორმები, ხანძარი კი ელექტროენერგიის გაუმართაობამ გამოიწვია. ბრალდებულის ახლობლების განცხადებით, ისინი მოსამართლის გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

მორიგი სასამართლოს პროცესი 8 იანვარს ჩაინიშნა. ზაზა ართმელიძე სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევის ბრალდებით 19 ნოემბერს დააკავეს.

***

მიმდინარე წლის 10 მაისს, გამთენიისას, ქობულეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე, ეწ. ხასანას სასტუმროში ხანძარი გაჩნდა. ამ დროს სასტუმროში იმყოფებოდნენ რუსთავის ქორეოგრაფიული ანსამბლ „სიხარული-2“-ის წევრები, მათ შორის, არასრულწლოვნები, რომელთაგანაც სამი ადგილზე დაიღუპა.

ნიუსპრესი

შსს-ს ბელგიის ფედერალური პოლიციის დელეგაცია ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბელგიის ფედერალური პოლიციის დელეგაცია ეწვია. ვიზიტის მიზანს „საქართველოს მთავრობასა და ბელგიის სამეფოს მთავრობას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების პროექტზე ოფიციალური მოლაპარაკებების გამართვა წარმოადგენდა.

მხარეებმა დეტალურად განიხილეს შეთანხმების ტექსტი და მისი დებულებები შეაჯერეს. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ შეთანხმება ხელმოსაწერად მომზადდება. აღნიშნული შეთანხმება მნიშვნელოვანია საქართველოსა და ბელგიის სამეფოს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის გასაძლიერებლად, როგორც ოპერატიულ, ასევე არაოპერატიულ დონეზე.

საქართველოს მხრიდან მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები.

შსს-მ „პროკრედიტ ბანკის“ ყაჩაღობა გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს 1-ლი განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყაჩაღობის ბრალდებით, 1979 წელს დაბადებული გიორგი ბ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 12 ნოემბერს ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე, „პროკრედიტ ბანკის“ ფილიალი დააყაჩაღა, საიდანაც 15 000 ლარამდე ფული გაიტაცა. სამართალდამცველებმა ბრალდებული თბილისში დაიკავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით).

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

აბდელჰამიდ აბაუდი
კაცი, რომელმაც პარიზის ტერაქტი მოაწყო
პროკურატურამ აბაუდის სიკვდილი დაადასტურა

პარიზის პროკურატურამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ პარიზის გარეუბან სენ დენიში მოკლული ტერორისტი აბდელჰამიდ აბაუდია.

– როგორც ჩანს, ტერაქტის ორგანიზატორი სწორედ აბაუდია, – ნათქვამია პარიზის პროკურატურის განცხადებაში.

აბდელჰამიდ აბაუდი მაროკოული წარმოშობის ბელგიელია. ის 1987 წელს ბრიუსელში შეძლებულ მრავალშვილიან (6 და-ძმა) ოჯახში დაიბადა. მამამისი რამდენიმე მაღაზიის მფლობელი იყო. მომავალმა ტერორისტმა წმინდა პეტრეს სახელობის პრესტიჟული სკოლა დაამთავრა. თანაკლასელთა ცნობით, ის გამოირჩეოდა ჭირვეული ხასიათით, პატივმოყვარეობით, მიისწრაფოდა თანაკლასელებზე მბრძანებლობისკენ, რის გამოც ხშირად ჰქონდა კონფლიქტები.

– ჩხუბის დროს აბდელჰამიდი ყოველგვარ ზომიერებას კარგავდა. მას შეეძლო, არა მარტო მთელი გამეტებით გაერტყა, არამედ დანა, ან სულაც რევოლვერი გამოეყენებინა, – იგონებს მისი თანაკლასელი ერიკ ვან ბერგი.

პოლიცია აბაუდის პერსონით რამდენიმე წლის წინ დაინტერესდა. მას ტერაქტებში მონაწილეობას სდებდნენ ბრალად. აბაუდიმ მიმალვა მოახერხა. ტერაქტში მონაწილეობისთვის ბელგიის სასამართლომ დაუსწრებლად გაასამართლა და 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

როგორც შემდგომში გაირკვა, ის სირიაში გაემგზავრა. აქ ის ისლამური სახელმწიფოს რიგებში იბრძოდა. ის ე.წ. „ევროპული ლეგიონის“ რიგებში იმყოფებოდა, სადაც ძირითადად ევროპიდან ჩამოსული მოხალისეები იბრძოდნენ. როგორც ჩანს, აბაუდიმ თავი გამოიჩინა, რადგან ის დააწინაურეს. აბაუდის ახლად ჩამოსულ მოხალისეებთან გასაუბრება და მათი პიროვნების შესწავლა დაევალა. მას უნდა დაედგინა, თუ რამდენად სანდო იყო მოხალისე, რა ძლიერი ან სუსტი მხარეები გააჩნდა და ა.შ.

აბაუდი გამოცდის ფრიად არაადამიანურ მეთოდეს იყენებდა. ახალწვეულებს შორის ეწყობოდა ხელჩართული ბრძოლები. იმათ, ვინც, აბაუდის აზრით, მეომრად არ ვარგოდა, იქვე კლავდნენ.

ასეთებს შეუკრავდნენ ხელებს, შემდეგ მოჰყავდათ ისინი, ვინც აბაუდის გამოცდები ჩააბარა და ეუბნებოდნენ:

– შენ გეძლევა საპატიო დავალება, დაეხმარო შენს მოყვასს, რომ სამოთხეში მოხვდეს. ვისაც კლავენ, სამოთხეში ხვდება. აიღე დანა და

მოყვასს დაეხმარე!

მათ, ვინც ბრძანებას არ შეასრულებდა, ყელს თავად აბაუდი ჭრიდა. ვინც შეასრულებდა, მათ აბაუდი გადაეხვეოდა და გადაკოცნიდა:

– ახლა შენ ჩვენი ძმა ხარ!

ამის შემდეგ ძმა მეორე დავალებას იღებდა. მას, რამდენიმე ახალწვეულთან ერთად, მტრის ზურგში დივერსია უნდა განეხორციელებინა. საამისოდ მათ დანებსა და ხანჯლებს აძლევდნენ. შეკითხვაზე, ცეცხლსასროლი იარაღი გვჭირდება და რატომ არ გვაძლევთო, აბაუდი პასუხობდა:

– გჭირდებათ?! ჰოდა, ბრძოლაში მოიპოვეთ!

დავალებიდან ახალწვეულთა ნაწილი ვერ ბრუნდებოდა. ისინი კი, ვინც ბრუნდებოდნენ, ისლამური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მებრძოლები ხდებოდნენ.

ასეთი იყო აბდელჰამიდ აბაუდი, კაცი, რომელმაც პარიზის ტერაქტები დაგეგმა.

ობამა: „რუსეთი უნდა მიხვდეს, რომ ასადს ვერ დავჭოვებთ“

ბარაქ ობამამ „ამერიკის ხმასთან“ განაცხადა, რომ რუსეთისა და ირანისგან პოზიციის შეცვლას მოელის.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ეს პროცესი იოლი არ იქნება, თუმცა მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი.

– მოსკოვმა და თეირანმა უნდა აირჩიონ: ხელისუფლებაში ასადის დარჩენა სურთ თუ სირიის სახელმწიფოს გადარჩენა, – თქვა ობამამ.

აშშ-ს ლიდერმა განაცხადა, რომ ხელისუფლებაში ასადის დარჩენა ომის გაგრძელებას და სირიის დეზინტეგრაციას მოასწავებს, ამიტომ, ასადის დარჩენა დაუშვებელია.

– იმედი მაქვს, რომ პუტინიც ამას უკვე მიხვდა, – თქვა ობამამ.

ამერიკამ სირიელი ლტოლვილების შეშვება შეაჩერა

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ შეაჩერა პროგრამა, რომელიც აშშ-ში სირიელი და ერაყელი ლტოლვილების შეყვანას ითვალისწინებს.

ამ დადგენილებას ძირითადად რესპუბლიკელებმა დაუჭირეს მხარი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ლტოლვილების უკონტროლო შემოყვანა სიბრიყვეა, რადგან მათ შორის, შესაძლოა, ტერორისტებიც იყვნენ. დემოკრატები კი თვლიან, რომ უზნეობაა, ათასობით მშიერ და გაუბედურებულ ადამიანს თავშესაფარზე უარი უთხრა.

პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ ვეტოს უფლებას გამოიყენებს. დისკუსიები ლტოლვილთა შემოშვება-არშემოშვების თაობაზე გრძელდება.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასო!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

რუსეთში პოლიციური რეჟიმის გამკაცრებას მოითხოვენ

რუსეთის ფედერალური საბჭოს სპიკერმა მატვიენკომ სპეცსამსახურების უფლებამოსილებების გაფართოება მოითხოვა. მატვიენკომ ეს ტერაქტების საფრთხით ახსნა.

– დღეს აუცილებელია ქმედითი ანტიტერორისტული ოპერაციების განხორციელება, ეს კი სპეცსამსახურების უფლებამოსილებების გაფართოების გარეშე არ გამოვა, – თქვა მატვიენკომ.

ორგანიზაცია „სპრავედლივაია როსიას“ ლიდერმა მირონოვმა კი სიკვდილის დასჯის აღდგენა მოითხოვა.

– დღეს რუსეთში სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი მოქმედებს. აუცილებელია, ეს მორატორიუმი გაუქმდეს და ტერორისტებისთვის სიკვდილით დასჯა შემოიღონ, – თქვა მირონოვმა.

ისლამური სახელმწიფო იარაღს უკრაინაში ყიდულობდა?

კუვეიტის შს სამინისტროს ცნობით, აღმოჩენილია მთელი ქსელი, რომელიც ისლამური სახელმწიფოსთვის იარაღის შეძენას ცდილობდა.

– იარაღის ერთ-ერთი პარტია უკრაინაში შეიძინეს, – ამტკიცებენ კუვეიტის შს-ს წარმომადგენლები.

რუსეთის ტელევიზიის ცნობით, კუვეიტის უშიშროების ძალებმა ისლამური სახელმწიფოს რამდენიმე მებრძოლი შეიპყრეს. დაკითხვაზე მათ განაცხადეს, რომ იარაღი უკრაინაში შეიძინეს.

– ეს ერთ-ერთი ნაციონალისტური ბატალიონის მეთაურის დახმარებით მოხდა, – იტყობინება რტრ.

ოფიციალური კიევი მომხდარზე კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს, უკრაინელი ექსპერტები კი ამ ცნობას რუსული სპეცსამსახურების პროვოკაციას უწოდებენ.

– ჩემი აზრით, ისინი, ვინც კუვეიტში შეიპყრეს, არიან ჩვეულებრივი ავანტიურისტები და პროვოკატორები, რომლებიც კუვეიტელებს თავად ჩაბარდნენ. როგორც ჩანს, რუსებმა მათ დიდძალი ფული გადაუხადეს და მათ განაცხადეს, რომ იარაღი უკრაინაში შეიძინეს, – აცხადებს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი არესტოვი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

ევროპა ელ კლასიკოს მოლოდინში

სიტი-ლივერპული, შალკე-ბაიერნი, იუვენტუსი-მილანი, სენტ ეტიენი-მარსელი – ძალიან კარგი თამაშებია ევროპაში, მაგრამ როდესაც ტურში რეალი-ბარსელონაა, ყველაფერს აზრი ეკარგება. მთელი ევროპა ელ კლასიკოს მოლოდინშია...

ახლა მთავარია, მატჩები არ გადაიდოს. ამის საშიშროება არის – პარიზში დატრიალებულმა ტრაგედიამ საფეხბურთო ფედერაციებიც შეაწუხა. ჯერჯერობით ამბობენ, ტური იქნებაო.

იმედია, გადაწყვეტილება არ შეიცვლება.

ინგლისი

21.11 უოტფორდი-მანჩესტერი	4.33	3.25	1.91
21.11 საუთჰემპტონი-სტოკი	1.57	3.75	6.0
21.11 ვესტ ბრომვიჩი-არსენალი	6.5	4.2	1.5
21.11 ნიუკასლი-ლესტერი	2.8	3.5	2.4
21.11 სუონსი-ბორნმუთი	1.75	3.6	4.75
21.11 ევერტონი-ასტონ ვილა	1.5	4.0	7.0
21.11 ჩელსი-ნორვიჩი	1.44	4.33	7.5
21.11 სიტი-ლივერპული	1.61	4.0	5.5
22.11 ტოტენჰემი-ვესტ ჰემი	1.53	4.0	6.0
23.11 კრ.პალასი-სანდერლენდი	1.53	4.0	6.0

უოტფორდი-მანჩესტერი

უოტფორდი: ***ტრავმ***არავინ

მანჩესტერი:***ტრავმ***ანტუან მარტიალი, მაიკლ კერიკი, ანტონიო ვალენსია, ლუკ შოუ

საუთჰემპტონი-სტოკი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***არავინ

სტოკი: ***ტრავმ***არავინ

ვესტ ბრომვიჩი-არსენალი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***არავინ; ***დისკვ***-გარეტ მაკკულეი

არსენალი: ***ტრავმ***ტეო უოლკოტი, აარონ რამზი, ჯეკ უილშირი, დანი უელბეკი, ტომაშ როსიცკი

ნიუკასლი-ლესტერი

ნიუკასლი: ***ტრავმ***მასადიო ჰაიდარა, როლანდო აარონსი, ჯეკ კოლბეკი, ტიმ კრული, სტივენ ტეილორი

ლესტერი: ***ტრავმ***არავინ

სუონსი-ბორნმუთი

სუონსი: ***ტრავმ***არავინ

ბორნმუთი:***ტრავმ***კალუმ უილსონი, ტომი ელპიკი, მაქს გრადელი, ტაირონ მინგსი

ევერტონი-ასტონ ვილა

ევერტონი: ***ტრავმ***ფილ იაგიელკა

ასტონ ვილა: ***ტრავმ***რუდი გესტედე, ჯორდან ამავი

ჩელსი-ნორვიჩი

ჩელსი: ***ტრავმ***ტიბო კურტუა

ნორვიჩი: ***ტრავმ***მეტიუ იარვისი

სიტი-ლივერპული

სიტი: ***ტრავმ***ფაბიან დელფი, ვილფრედ ბონი

ლივერპული:***ტრავმ***მამადუ სახო, დანიელ სტარიჯი, დანი ინგსი, ხოსეპ გომესი, ჯორდან ჰენდერსონი

ტოტენჰემი-ვესტ ჰემი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***ნაბილ ბენტალები, ნასერ ჩადლი, ალექს პრიტჩარდი; ***დისკვ***-ერიკ ლამელა

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***ენერ ვალენსია, დიმიტრი პოიე; ***დისკვ***-ჯეიმს კოლინზი

კრ.პალასი-სანდერლენდი

კრ.პალასი: ***ტრავმ***დუაიტ გილი, მარუან შამახი

სანდერლენდი: ***ტრავმ***ადამ მატეუსი, ლი კატერმოლი

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	11	8	1	2	26-9	25
2.არსენალი	11	8	1	2	21-8	25
3.ლესტერი	11	6	4	1	23-19	22
4.მანჩესტერი	11	6	3	2	15-8	21
5.ტოტენჰემი	11	5	5	1	19-9	20
6.ვესტ ჰემი	11	6	2	3	22-15	20
7.საუთჰემპტონი	11	4	5	2	18-13	17
8.ლივერპული	11	4	5	2	12-12	17
9.ევერტონი	11	4	4	3	19-15	16
10.კრ. პალასი	11	5	1	5	12-11	16
11.უოტფორდი	11	4	4	3	10-10	16
12.ვესტ ბრომვიჩი	11	4	2	5	10-14	14
13.სუონსი	11	3	4	4	12-15	13
14.სტოკი	11	3	4	4	9-12	13
15.ჩელსი	11	3	2	6	16-22	11
16.ნორვიჩი	11	2	3	6	15-23	9
17.ბორნმუთი	11	2	2	7	12-24	8
18.ნიუკასლი	11	1	4	6	12-22	7
19.სანდერლენდი	11	1	3	7	13-25	6
20.ასტონ ვილა	11	1	1	9	10-20	4

ესპანეთი

21.11 სოსიედადი-სევილია	2.62	3.4	2.6
21.11 რეალი-ბარსელონა	2.45	3.75	2.6
21.11 ესპანიოლი-მალაგა	2.3	3.2	3.2
21.11 ვალენსია-ლას პალმასი	1.5	4.2	6.5
21.11 დეპორტივო-სელტა	2.9	3.4	2.37
22.11 ხიხონი-ლევანტე	2.2	3.1	3.5
22.11 ვილიარეალი-ეიბარი	1.5	4.0	7.0
22.11 გრანადა-ბილბაო	3.6	3.4	2.05
22.11 ბეტისი-ატლეტიკო	6.0	3.6	1.61
23.11 ხეტაფე-რაიო	2.37	3.4	2.9

სოსიედადი-სევილია

სოსიედადი: ***ტრავმ***ჯონატასი, დავიდ ზურუტუზა

სევილია: ***ტრავმ***გაელ კაკუტა, ბეტო, დანიელ კარიკო

ჰეალი-ბარსელონა

რეალი: ***ტრავმ***ბორხა

ბარსელონა:***ტრავმ***დუგლას პერეირა, რაფინია

ესპანიოლი-მალაგა

ესპანიოლი: ***ტრავმ***ანიზ არბილია

მალაგა: ***ტრავმ***იგნასიო კამაჩო

ვალენსია-ლას პალმასი

ვალენსია: ***ტრავმ***ალვარო ნეგრედო, როდრიგო მორენო

ლას პალმასი: ***ტრავმ***ხავი კასტელანო

დეპორტივო-სელტა

დეპორტივო: ***ტრავმ***ცელსო ბორხესი

სელტა: ***ტრავმ***არავინ; ***დისკვ***-გუსტავო კაბრალი

ხიხონი-ლევანტე

ხიხონი: ***ტრავმ***სერხიო ალვარესი

ლევანტე: ***ტრავმ***ივან ლოპესი, ანხელ ტრუხილიო

ვილიარეალი-ეიბარი

ვილიარეალი: ***ტრავმ***ლეო ბაპტისტაო, ადრიანი

ეიბარი: ***ტრავმ***სიმონე ვერდი; ***დისკვ***-ანდერ კაპა

გრანადა-ბილბაო

გრანადა: ***ტრავმ***არავინ

ბილბაო: ***ტრავმ***იკერ მუნიაინი

ბეტისი-ატლეტიკო

ბეტისი: ***ტრავმ***ალფრედ ნდიაე

ატლეტიკო: ***ტრავმ***ხუანფრანი

ხეტაფე-რაიო

ხეტაფე: ***ტრავმ***ალვარო მედრანი;***დისკვ***-ალექსისი, დამიან სუარესი

რაიო: ***ტრავმ***ტონო; ***დისკვ***-ზე კასტრო

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	10	7	3	0	24-4	24
2.ბარსელონა	10	8	0	2	22-12	24
3.სელტა	10	6	3	1	21-13	21
4.ატლეტიკო	10	6	2	2	15-6	20
5.ვილიარეალი	10	6	2	2	15-8	20
6.ეიბარი	10	4	4	2	13-10	16
7.ვალენსია	10	4	3	3	11-7	15
8.ბილბაო	10	4	2	4	16-13	14
9.დეპორტივო	10	3	5	2	15-12	14
10.ესპანიოლი	10	4	1	5	11-21	13
11.სევილია	10	3	3	4	14-14	12
12.ხიხონი	10	3	3	4	11-14	12
13.ბეტისი	10	3	3	4	10-16	12
14.ხეტაფე	10	3	1	6	10-15	10
15.რაიო	10	3	1	6	11-18	10
16.სოსიედადი	10	2	3	5	12-12	9
17.მალაგა	10	2	3	5	5-8	9
18.გრანადა	10	1	4	5	10-18	7
19.ლას პალმასი	10	1	3	6	7-16	6
20.ლევანტე	10	1	3	6	6-22	6

გერმანია

21.11 კიოლნი-მაინცი	2.05	3.6	3.4
21.11 შტუტგარტი-აუგსბურგი	1.95	3.8	3.5
21.11 აინტრახტი-ლევერკუზენი	3.6	3.75	1.95
21.11 გლადბახი-ჰანოვერი	1.5	4.2	6.5
21.11 ვოლფსბურგი-ვერდერი	1.61	4.2	5.0
21.11 შალკე-ბაიერნი	11.0	6.0	1.25
22.11 ჰერტა-ჰოფენჰაიმი	2.05	3.4	3.6
22.11 ინგოლშტადი-დარმშტადი	2.05	3.1	4.0

კიოლნი-მაინცი

კიოლნი: ***ტრავმ***არავინ

მაინცი: ***ტრავმ***კრისტიან კლემენსი, ფაბიან ფრეი

შტუტგარტი-აუგსბურგი

შტუტგარტი: ***ტრავმ***მარტინ ჰარნიკი, დანიელ გინსეკი, რობი კრუსე

აუგსბურგი: ***ტრავმ***ჰონგ იოჰგჰო

აინტრახტი-ლევერკუზენი

აინტრახტი: ***ტრავმ***სლობოდან მედიოევიჩი, მარკო რუსი

ლევერკუზენი:***ტრავმ***ლარს ბენდერი, ტინ იედვაი, რობერტო ჰილბერტი

გლადბახი-ჰანოვერი

გლადბახი: ***ტრავმ***ანდრე ჰანი, ნიკო შულცი, პატრიკ ჰერმანი, მარტინ შტრანცლი

ჰანოვერი: ***ტრავმ***ჩარლისონ ბენშოპი, ედგარ პრიბი

ვოლფსბურგი-ვერდერი

ვოლფსბურგი:***ტრავმ***რიკარდო როდრიგესი

ვერდერი: ***ტრავმ***ფლორიან გრილიტში, ლუკა ზანდერი, არონ იოჰანსონი

შალკე-ბაიერნი

შალკე: ***ტრავმ***ბენედიქტ ჰიოვედესი, მარკო ჰოგერი, მატია ნასტანიჩი

ბაიერნი: ***ტრავმ***ხუან ბერნატი, მარიო გიოტცე, სებასტიან როდე, ფრანკ რიბერი

ჰერტა-ჰოფენჰაიმი

ჰერტა: ***ტრავმ***ნიკლას სტარკი, ტომას კრაფტი, პეტერ პეკარიკი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***ფილიპ ოჩსი

ინგოლშტადი-დარმშტადი

ინგოლშტადი: ***ტრავმ***როჯერ ბერნარდო, ალმოგ კოენი

დარმშტადი: ***ტრავმ***არავინ

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	11	10	1	0	33-4	31
2.დორტმუნდი	11	8	2	1	32-13	26
3.ვოლფსბურგი	11	6	3	2	17-13	21
4.შალკე	11	6	2	3	14-13	20
5.გლადბახი	11	6	0	5	23-18	18
6.ჰერტა	11	5	2	4	14-14	17
7.ლევერკუზენი	11	5	2	4	13-14	17
8.ინგოლშტადტი	11	4	3	4	7-9	15
9.კიოლნი	11	4	3	4	13-17	15
10.ჰამბურგი	11	4	2	5	10-15	14
11.აინტრახტი	11	3	4	4	16-17	13
12.მაინცი	11	4	1	6	16-19	13
13.დარმშტადტი	11	3	4	4	12-15	13
14.ჰანოვერი	11	3	2	6	11-19	11
15.შტუტგარტი	11	3	1	7	17-23	10
16.ვერდერი	11	3	1	7	11-18	10
17.ჰოფენჰაიმი	11	1	4	6	12-19	7
18.აუგსბურგი	11	1	3	7	12-23	6

იტალია

21.11 ბოლონია-რომა	4.75	3.6	1.75
21.11 იუვენტუსი-მილანი	1.61	3.6	6.0
22.11 უდინეზე-სამპდორია	2.15	3.25	3.5
22.11 ვერონა-ნაპოლი	7.0	4.5	1.44
22.11 ჯენოა-სასუოლო	2.05	3.4	3.6
22.11 კარპი-კიევო	2.75	3.0	2.75
22.11 ფიორენტინა-ემპოლი	1.5	4.2	6.5
22.11 ლაციო-პალერმო	1.5	4.0	7.0
22.11 ატალანტა-ტორინო	2.5	3.2	2.9
22.11 ინტერი-ფროზინონე	1.22	6.0	13.0

ბოლონია-რომა

ბოლონია: ***ტრავმ***არავინ

რომა: ***ტრავმ***მოჰამედ სალაჰი, კევინ სტროოტმანი

იუვენტუსი-მილანი

იუვენტუსი: ***ტრავმ***სიმონე პადოინი, როერტო პერეირა

მილანი:***ტრავმ***ნაიჯელ დე იონგი, დიეგო ლოპესი, მარიო ბალოტელი, ანდრეა ბერტოლაჩი

უდინეზე-სამპდორია

უდინეზე: ***ტრავმ***პანაგიოტის კონე, დუვან ზაპატა, ალექსანდერ მერკელი

სამპდორია: ***ტრავმ***ხოაკიმ კორეა, ანდრეა კოდა

ვერონა-ნაპოლი

ვერონა: ***ტრავმ***არტურ იონიტა, რაფაელ მარკესი, ფედერიკო ვივიანი, ლუკა ტონი, რომულო

ნაპოლი: ***ტრავმ***დრის მერტენსი; ***დისკვ***-კალიდუ კულიბალი

ჯენოა-სასუოლო

ჯენოა: ***ტრავმ***ეზეკიელ მუნიოსი, ჯოვანი მარკეზე, ბლერიმ ჯემაილი

სასუოლო: ***ტრავმ***არავინ

ჯაჰპი-ჟიევო

კარპი: ***ტრავმ***ნიკოლას სპოლი, რაფაელ მარტინიო

კიევო:***ტრავმ***ფედერიკო მატიელო

ფიორენტინა-ემპოლი

ფიორენტინა: ***ტრავმ***იაკუბ ბლაჩიკოვსკი

ემპოლი:***ტრავმ***ლევან მჭედლიძე, დანიელე კროკე, კასტრიოტ დერმაკუ

ლაციო-პალერმო

ლაციო: ***ტრავმ***სტეფანო მაური, სტეფან დე ვრეი

პალერმო:***ტრავმ***რობერტო ვიტიელო, მიქელე მორგანელა, უროს ჯურჯევიჩი

ატალანტა-ტორინო

ატალანტა:***ტრავმ***ბაქარი დრამე; ***დისკვ***-მაურისიო პინილია

ტორინო:***ტრავმ***ჯოელ ობი, ნიკოლა მაკსიმოვიჩი, პონტუს იანსონი

ინტერი-ფროზინონე

ინტერი: ***ტრავმ***ნემანია ვიდიჩი

ფროზინონე: ***ტრავმ***ადრიანო რუსო, დანიელ პავლოვიჩი; ***დისკვ***-ფედერიკო დიონისი

სატურნირო ცხრილი:

1.ფიორენტინა	11	8	0	3	22-9	24
2.ინტერი	11	7	3	1	11-7	24
3.რომა	11	7	2	2	25-13	23
4.ნაპოლი	11	6	4	1	21-8	22
5.სასუოლო	11	5	4	2	13-10	19
6.მილანი	11	6	1	4	15-16	19
7.ლაციო	11	6	0	5	16-18	18
8.ატალანტა	11	5	2	4	13-14	17
9.სამპდორია	11	4	4	3	19-15	16
10.იუვენტუსი	11	4	3	4	13-10	15
11.ტორინო	11	4	3	4	17-17	15
12.ემპოლი	11	4	2	5	12-15	14
13.კიევო	11	3	4	4	14-11	13
14.ჯენოა	11	3	3	5	10-14	12
15.უდინეზე	11	3	3	5	10-14	12
16.პალერმო	11	3	2	6	11-16	11
17.ფროზინონე	11	3	1	7	9-16	10
18.ბოლონია	11	3	0	8	9-15	9
19.ვერონა	11	0	6	5	8-17	6
20.კარპი	11	1	3	7	10-23	6

საფრანგეთი

21.11 ლორიანი-პსჟ	7.0	4.4	1.44
21.11 ბასტია-გაზელეკი	2.05	3.1	4.0
21.11 გენგამი-ტულუზა	2.15	3.3	3.4
21.11 მონპელიე-რეიმსი	2.05	3.1	4.0
21.11 მონაკო-ნანტი	1.7	3.4	5.5
21.11 ტრუა-ლილი	3.5	3.1	2.2
22.11 კაენი-ანჟე	1.91	3.2	4.5
22.11 რენი-ბორდო	2.37	3.0	3.25
22.11 სტ.ეტიენი-მარსელი	2.5	3.3	2.8

ლორიანი-პსჟ

ლორიანი: ***ტრავმ***ვესლი ლაუტოა

პსჟ: ***ტრავმ***მარკო ვერატი, ხავიერ პასტორე, მარკინიოსი

ბასტია-გაზელეკი

ბასტია:***ტრავმ***ფლორიან მარანგე, აქსელ ნგანდო, ფრანსუა კამანო, კრისტოფერ მაბულუ, იასინ იებო, ალექსანდერ ჯიკუ

გაზელეკი: ***ტრავმ***ალასანე ტურე, ულრიხ მაიი

გენგამი-ტულუზა

გენგამი: ***ტრავმ***ბროუ ანგუა, კრისტოფერ კერბრო, მანა დემბელე, რეინალდ ლემაი, მაქსინ ბაშა

ტულუზა: ***ტრავმ***ტონგო დუმბია

მონპელიე-რეიმსი

მონპელიე: ***ტრავმ***იორის მავრო, პოლ ლასნე, კევინ ბერიგო

რეიმსი:***ტრავმ***პრინს ონიანგუე, უგო როდრიგესი, მოჰამედ ფოფანა, ანტუან კონტე

მონაკო-ნანტი

მონაკო: ***ტრავმ***ლაკინა ტრაორე, ნაბილ დირარი, ივან კავალიერო, ტომას ლემარი, ფაბიო კოენტრაუ, ტიემუ ბაკაიოკო, ადამა ტრაორე

ნანტი: ***ტრავმ***ვალენტინ რონგიე, ალეხანდრო ბედოია

ტრუა-ლილი

ტრუა:***ტრავმ***ტომას აიასე, კრის მავინგა, ჯონათან პერეირა, კვენტინ ოტონი, მორი კონე

ლილი: ***ტრავმ***არავინ

კაენი-ანჟე

კაენი:***ტრავმ***ერვე ბაზილე, ემანუელ იმოროუ

ანჟე: ***ტრავმ***არნოლდ ბოუკა, ფერებორი დორე

რენი-ბორდო

რენი:***ტრავმ***ჩეიკ მბენგუე, პოლ ნტეპი, ედსონ მექსე

ბორდო: ***ტრავმ***ტომას ტურე, გრეგუარ სერტიჩი

სტ.ეტიენი-მარსელი

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***მუსტაფა სალი, ჯონათან ბამბა, კევინ ტეოფილე

მარსელი: ***ტრავმ***რომან ალექსანდრინი, ბრის ჯა ჯეჯე

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	12	10	2	0	26-6	32
2.ლიონი	12	6	4	2	16-7	22
3.ანჟე	12	6	4	2	12-7	22
4.სტ.ეტიენი	12	7	1	4	17-14	22
5.კაენი	12	7	0	5	12-13	21
6.მონაკო	12	5	5	2	16-15	20
7.ნანტი	12	6	1	5	11-12	19
8.ნიცა	12	5	3	4	26-17	18
9.ლორიანი	12	4	5	3	18-17	17
10.რენი	12	4	5	3	15-14	17
11.გენგამი	12	4	4	4	12-15	16
12.მარსელი	12	4	3	5	18-13	15
13.რეიმსი	12	4	3	5	11-12	15
14.ბორდო	12	3	5	4	14-18	14
15.ბასტია	12	4	1	7	13-18	13
16.ლილი	12	2	6	4	6-7	12
17.მონპელიე	12	2	3	7	9-15	9
18.გაზელეკი	12	2	3	7	9-16	9
19.ტულუზა	12	1	6	5	12-21	9
20.ტრუა	12	0	4	8	5-21	4

მოამზადა მისეულ ყორეულიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ოთხშაბათი 23 ნოემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.00 "გიორგობა" 14.05 მხ/ფ **"ფიროსმანი"** 15.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. **"ბანქოს სახლი"** 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 23.00 "გამომძიებელი რეპორტიორი" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ **"ნეკი ადგილი მზის ქვეშ"**

08.00 ქართ. დოკ/ფ "რუსთაველის ნაკვალევზე" (რეჟ. გ. პატარაია) 08.40 ქართ. მხ/ფ **"იყო შავში მგალობელი"** 10.00 "გიორგობა" 14.00 ქართ. დოკ/ფ "გზა მაცხოვრისა" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 17.00 "პოლიტტალკრნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

